8 -14 ოქტომბერი
ფასი 1 ლარი 50 თეთრი

ახალი განათლება

№29 (703) გამოდის 1998 წლიდან
www.axaliganatleba.ge

საზოგადოების წევრებს არ უნდა ჰქონდეთ განცდა, რომ ყველაფერი მათ სურვილებს „მოერგება"

ინტერვიუ რექტორთან

ყოველ ზაფხულს აქტუალური ხდება მეორადი ჩარიცხვის საკითხი. საზოგადოების აზრი ორად იყოფა – არიან როგორც მომხრეები, ასევე მოწინააღმდეგეები. ბევრს მსჯელობენ, ასევე, უნივერსიტეტების დაფინანსების სისტემაზე და ზოგადად ეროვნული გამოცდების ირგვლივ.

რუბრიკაში „ინტერვიუ რექტორთან" შემოგთავაზებთ უმაღლესი სასწავლებლების რექტორების მოსაზრებებს ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

დღეს რუბრიკის სტუმარია ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი ღავთაძე.

გვერდი 3

„ადამიანებში სუიციდის მეტი რისკი სწორედ კრიზისულ ასაკს უკავშირდება. მოზარდობის ასაკი, ხშირად ვამბობთ, ბეწვის ხიდზე გავლაა. ამ პერიოდში ძალიან იზრდება რისკი, თუნდაც დანაშაულებრივი, აგრესიული თუ ანტისოციალური ქცევების, იმავე სუიციდის. რატომ? იმიტომ, რომ ამ ასაკში ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური, სოციალური გარდატეხა ხდება; მოზარდი სერიოზული გამოწვევის წინაშე დგას, ბოლოს და ბოლოს, ამ ასაკში უნდა უპასუხოს შეკითხვას – ვინ ვარ მე? უნდა მოიპოვოს აღიარება თანატოლებში – ეს ძალიან მნიშვნელოვანი ამოცანაა.

ადამიანის ცხოვრებაში ფილოსოფიურ და ეგზისტენციალურ კითხვაზე პასუხის გამცემი სწორედ ეს ასაკია."

ემოციური უსაფრთხოების პრობლემა ქართულ სინამდვილეში

გვესაუბრება ფსიქოლოგი მაია ცირამუა

გვერდი 6

რეგიონი

სერიოზული შანსი და მოტივაცია პედაგოგებისათვის

რუბრიკით „რეგიონი" მოგაწვდით ინფორმაციას რაიონული საგანმანათლებლო რესურსცენტრების საქმიანობის შესახებ, კონკრეტულ რაიონებში მიმდინარე პროცესებსა და სიახლეებზე.

გვერდი 4

პედაგოგთა დასახმარებლად

მათემატიკისა და წიგნიერების ინტერდისციპლინური (საგანთაშორისი) სწავლება

მათემატიკა (დაწყებითი საფეხური)

გვერდი 8

CMYK

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი

აცხადებს ღია კონკურსს
აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად

ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი

<u>ბიზნესის მართვის კათედრა</u>

1 პროფესორი

საბუთების მიღება იწარმოებს
2015 წლის 9 ნოემბრიდან
2015 წლის 18 ნოემბრამდე. ყოველდღიურად,
შაბათ-კვირის გარდა, 10:00 საათიდან 16:00 საათამდე.

კონკურსი ჩატარდება 2015 წლის 30 ნოემბერს.

კონკურსი დასრულდება და საბოლოო შედეგები
გამოქვეყნდება 2015 წლის 4 დეკემბერს.

დაწვრილებითი ინფორმაცია
შეგიძლიათ იხილოთ
უნივერსიტეტის ვებგვერდზე – www.gttu.edu.ge
ან დაგვიკავშირდეთ შემდეგ ნომრებზე:
2 66 15 12; 2 24 65 91

კონფერენცია

ქართველ მანდატურებს ამერიკელმა კოლეგებმა გამოცდილება გაუზიარეს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურისა და აშშ-ს სკოლის მანდატურთა ეროვნული ასოციაციის (NASRO) წარმომადგენლებმა თემაზე – „უსაფრთხო სკოლა“ ერთობლივი კონფერენცია გამართეს, რომელსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ლია გიგაური დაესწრო.

კონფერენციაზე, რომელსაც NASRO-ს აღმასრულებელი დირექტორი ჯეიმს მორის კენედი, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსი ვახტანგ მეიფარიანი და სხვა მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ, იმსჯელეს როგორც უსაფრთხო სკოლის კონცეფციაზე, ასევე, სამართლებრივ განათლებასა და საგანმანათლებლო დაწესებულებებში ძალადობის პრევენციაზე.

მნიშვნელოვანია, რომ ვიზიტის ფარგლებში, საქართველოში მყოფი აშშ-ს სკოლის მანდატურთა ეროვნული ასოციაციის (NASRO) წარმომადგენელთა მხრიდან მანდატურებისათვის და მანდატურის სამსახურის თანამშრომლებისათვის სპეციალური ტრენინგები ჩატარდება, რაც მანდატურებს დაეხმარებათ, კიდევ უფრო ეფექტური გახადონ მუშაობა ძალადობისა და დანაშაულის აღკვეთაში, შესაბამისად, სკოლებში უსაფრთხო გარემოს განმტკიცებაში. ქართველ და ამერიკელ მანდატურებს შორის სკოლებში, მოხდება ასევე გამოცდილების გაზიარება ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის, პრევენციული ღონისძიებების გატარების, მოძალადის გამოვლენისა და შესაბამისი ორგანოების დროულად ინფორმირებულობის საკითხებზე.

აშშ-ს ამერიკის სკოლის ოფიცერთა ეროვნული ასოციაცია-ნასროსთან (NASRO) მანდატურის სამსახური აქტიურად თანამშრომლობს. ასოციაცია წარმოადგენს სერტიფიცირებული სამართალდამცავი ოფიცრების, სკოლის უსაფრთხოებისა და საგანმანათლებლო პერსონალის, მათ შორის, მასწავლებლებისა და სკოლის ადმინისტრატორების უმსხვილეს სასწავლო ორგანიზაციას მსოფლიოში, რომელიც სამართლებრივ განათლებასთან დაკავშირებული ინოვაციური მიდგომების დანერგვას და სკოლის უსაფრთხოების ოფიცერთა პროგრამების პოპულარიზაციას ახორციელებს როგორც აშშ-ში, ასევე მსოფლიოს სხვა ქვეყნებში.

ლია გიგაური, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე: *„ამერიკის შეერთებული შტატების სკოლის მანდატურთა წარმომადგენლების ვიზიტი საქართველოში უკვე ტრადიციად იქცა. რამდენიმე წელია, მჭიდრო თანამშრომლობა მიმდინარეობს, გამოცდილების გაზიარების მიზნით. ჩვენი მანდატურები ესწრებიან ტრენინგებს, რომლებიც მიმართულია „უსაფრთხო სკოლის“ კონცეფციის სრულფასოვნად ინტეგრაციაზე, სკოლის უსაფრთხოების სისტემების გაძლიერებაზე და, რაც მთავარია, თითოეულ მოსწავლესთან ეფექტურ, პოზიტიურ კომუნიკაციაზე, რაც დიდწილად განსაზღვრავს მოსწავლეების ქცევას სკოლაში და სკოლის უსაფრთხოების დაცვას.“*

ვახტანგ მეიფარიანი, მანდატურის სამსახურის უფროსი: *„უსაფრთხო სკოლის კონფერენციის ფარგლებში, ამერიკის შეერთებული შტატების სკოლის ოფიცერთა ეროვნული ასოციაციის თანამშრომლები თავიანთ გამოცდილებას გაგვიზიარებენ. მანდატურებს ოთხდღიან ტრენინგ-კურსს ჩაუტარებენ სკოლის უსაფრთხოების საკითხებზე, რაც მათ სკოლებში უსაფრთხო გარემოს განმტკიცებაში დაეხმარებათ.“*

ჯეიმს მორის კენედი, „ნასროს“ აღმასრულებელი დირექტორი: *„ჩემთვის დიდი პატივია საქართველოში ყოფნა. ვმონაწილეობ კონფერენციაში, რომელიც სკოლების მანდატურების ტრენინგს ეძღვნება. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება ძალადობაზე, ბულინგსა და სკოლისთვის შეუფერებელ სხვა ქცევებზე.*

ბოლო წლებში მოწმენი ვართ, თუ როგორ ვითარდება მანდატურის სამსახური საქართველოში არა მხოლოდ რაოდენობრივი, არამედ ხარისხობრივი თვალსაზრისით. ძალიან მიხარია, რომ ამ განვითარების ნაწილი ჩვენც ვართ.“

ინფორმაცია

ათასწლეულის ინოვაციის კონკურსი გამოცხადდა

ათასწლეულის გამოწვევის ფონდი სკოლის მოსწავლეებისთვის ათასწლეულის ინოვაციის ახალ კონკურსს იწყებს. კონკურსის თაობაზე განცხადება ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს აღმასრულებელმა დირექტორმა მაგდა მაღრაძემ გააკეთა. კონკურსის მნიშვნელობაზე ისაუბრეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ და აშშ-ს სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში იან კელიმ. ღონისძიების ფარგლებში, ათასწლეულის ინოვაციის კონკურსის 2014-15 წლის ფინალისტების ინოვაციური პროექტების გამოფენაც გაიმართა.

ინოვაციის კონკურსის მიზანია გამოავლინოს სამი საუკეთესო გუნდი საქართველოს მასშტაბით, რომლებიც წარმოადგენენ პროექტებს ინოვაციების, ტექნოლოგიებისა და საბუნებისმეტყველო სფეროში.

კონკურსში მონაწილე მოსწავლე დაბადებული უნდა იყოს 1997 წლის 2 აპრილიდან 2003 წლის 1 აპრილის ჩათვლით. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად 2-5 მოსწავლისაგან შემდგარ გუნდს შეუძლია წარმოადგინოს პროექტი შემდეგი საკონკურსო კატეგორიიდან ერთ-ერთში: კოსმოსი და ავიაცია; ჯანდაცვა და კვება; კიბერტექნოლოგიები და უსაფრთხოება; გარემოს დაცვა, ენერგეტიკა და ეკოსისტემები. გუნდის მიერ შემოტანილი პროექტების რაოდენობა არ არის შეზღუდული, თუმცა, ერთი პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ერთ კატეგორიაში.

პროექტების მიღება

კონკურსში მიღების მსურველებმა პირველ ეტაპზე უნდა შეავსონ სააპლიკაციო ფორმა. აპლიკაციების მიღების ბოლო ვადაა 2015 წლის 25 ოქტომბერი.

პრიზი

კონკურსის შედეგად შერჩეული, პირველ ადგილზე გასული გუნდი მონაწილეობას მიიღებს კონრადის ფონდის მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ სამიტში (http://www.conradchallenge.org), რომელიც გაიმართება 2016 წლის აპრილში, აშშ-ში.

კონკურსის მიზანი

ათასწლეულის ინოვაციის კონკურსი ემსახურება ახალგაზრდებში ინოვაციური იდეებისა და პროექტების განხორციელების წახალისებას საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ტექნოლოგიების სფეროში, რაც გაზრდის მათ მოტივაციას აღნიშნულ დისციპლინებში და ხელს შეუწყობს ქვეყანაში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში ახალ მიღწევებს. პროექტის ერთ-ერთი მიზანია კონკურსში გამარჯვებული მოსწავლეების დაკავშირება წარმატებულ მეცნიერებთან და კერძო სექტორთან, რაც დაეხმარება მათ სამომავლოდ პარტნიორობის დამყარებაში, გამოცდილებისა და ცოდნის მიღებაში.

ათასწლეულის ინოვაციის კონკურსი, პირველად, 2014-2015 წელს განხორციელდა და მასში მონაწილეობა მიიღო ოთხმოცდახუთმა გუნდმა საქართველოს ცხრა რეგიონიდან. 2015 წელს კონკურსში გაიმარჯვეს ახალციხის მეექვსე საჯარო სკოლისა და კერძო სკოლის „მზექა“ მოსწავლეებმა, ირაკლი კაპანაძემ და კარლო ხუციშვილმა, პროექტით „მულტიკლიმატიზატორი“. გუნდმა, 2015 წლის 9-11 აპრილს, მონაწილეობა მიიღო აშშ-ში, კონრადის ფონდის ინოვაციების სამიტში, ნასას კენედის ცენტრში, ფლორიდაში.

ათასწლეულის ინოვაციის კონკურსი ხორციელდება ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს მიერ აშშ-ს საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და აშშ-ს კონრადის ფონდთან თანამშრომლობით (The Conrad Foundation).

თამარ სანიკიძე: *„ათასწლეულის კორპორაციის მეორე კომპაქტი, თავიდან ბოლომდე, განათლებას ეძღვნება. ძირითადი კომპაქტის მიმართულებების გარდა, ფონდის ფარგლებში, ტარდება სხვადასხვა წამახალისებელი კონკურესები ჩვენი მოსწავლეებისთვის. ეს კონკრეტული პროექტი ემსახურება ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარებას, მოტივაციის გაღვიძებას და მეტ ინფორმირებულობას ახალგაზრდებში, მათ ჩართულობას ახალ, ინოვაციურ პროექტებში.*

შარშან უკვე გვქონდა მსგავსი პროექტი და ვიცით, რამდენად წარმატებული იყო – ახალციხის სკოლის გამარჯვებულები ნასაშიც კი მოხვდნენ ამ კონკურსის შედეგად. მნიშვნელოვანი ხელშეწყობა და მხარდაჭერაა ის, რომ კომპაქტის ფარგლებში, ლოგიკურად გრძელდება უმაღლესი განათლების საფეხურზე, სადაც, სტემის მიმართულებით – საბუნებისმეტყველო, საინჟინრო-ტექნიკური – მოხდა სტუდენტების წახალისება და უკვე წელს პირველი საუნივერსიტეტო ნაკადი გვყავს, სან-დიეგოს უნივერსიტეტის ფარგლებში.

მოსწავლეებთან მუშაობა გარდაუვალია. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეთა ჩართულობა მაღალია. განსაკუთრებით მივესალმებით გოგონების ჩართულობას და ვისურვებდით, რომ ისინი კიდევ უფრო გააქტიურდნენ ამ მიმართულებით“.

იან კელი, აშშ-ს ელჩი საქართველოში: *„ამერიკას სურვილი აქვს, საქართველომ წარმატებას მიაღწიოს, როგორც დამოუკიდებელმა, დემოკრატიულმა საზოგადოებამ. ამ მხრივ, საუკეთესო ინვესტიციაა საქართველოს მოქალაქეთა მომავალი თაობის დახმარება. თანამედროვე ეკონომიკა უფრო მეტ განათლებას, ინოვაციურ და ტექნოლოგიურ მიდგომებს მოითხოვს, რის მხარდაჭერასაც ჩვენ ამჟამად ვახორციელებთ“.*

მაგდა მაღრაძე, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი: *„ათასწლეულის გამოწვევის ფონდმა საქართველომ, დღეს, გამოაცხადა ათასწლეულის ინოვაციის კონკურსი უფროსკლასელთათვის. კონკურსის ფარგლებში, ვიღებთ წინადადებებს, პროექტებს უფროსკლასელებისგან, ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების განვითარების მიზნით“.*

ინტერვიუ რედაქტორთან

საზოგადოების წევრებს არ უნდა ჰქონდეთ განცდა, რომ ყველაფერი მათ სურვილებს „მოერგება“

გვესაუბრება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი ღავთაძე

– ბატონო გიორგი, რადგან უნივერსიტეტის ბიუჯეტს, ძირითადად, განსაზღვრავს სტუდენტების რაოდენობა, უმაღლესი სასწავლებელი დაინტერესებულია რაც შეიძლება მეტი სტუდენტი მიიღოს. ხომ არ ხდება ეს ხარისხის ხარჯზე? მოგწონთ თუ არა დაფინანსების არსებული სისტემა და რამდენად აკმაყოფილებს უნივერსიტეტის მოთხოვნებს განსაზღვრული ფინანსები. არსებობს თუ არა დაფინანსების სხვა გზა ან სხვა პრინციპი? თქვენთვის რომელი იქნებოდა სასურველი?

– მოწინავე ევროპული ქვეყნებისაგან განსხვავებით, საქართველოში უნივერსიტეტების შემოსავლის წყარო ნაკლებად დივერსიფიცირებულია. განსაკუთრებით ეს ითქმის რეგიონულ უნივერსიტეტებზე. შესაბამისად, უნივერსიტეტების ბიუჯეტების დამოკიდებულება სწავლის ქირიდან შემონატანებზე საკმაოდ მაღალია. ცხადია, აღნიშნული ვითარება განაპირობებს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების დაინტერესებას სტუდენტთა რაოდენობის შემდგომი ზრდით. თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ ეს სწავლების ხარისხის ხარჯზე ხდება, ყოველ შემთხვევაში, ჩვენს უნივერსიტეტში. ამის თქმის უფლებას მაძლევს შემდეგი გარემოებები და ფაქტები, კერძოდ: მიუხედავად მაღალი მოთხოვნისა, აკადემიური უზრუნველყოფის შესაძლებლობების გათვალისწინებით, ჩვენ არ წავედით სტუდენტთა მისაღები კონტინგენტის მნიშვნელოვან ზრდაზე ისეთ მიმართულებებზე, როგორებიცაა: სამართალი, ბიზნესის ადმინისტრირება, ეკონომიკა, მედიცინა, სოციალური მეცნიერებები, ინგლისური ფილოლოგია და ა.შ. პირიქით, ამ უკანასკნელზე, შესაბამისი დეპარტამენტისა და ფაკულტეტის მოთხოვნის საფუძველზე, გავზარდეთ ეროვნული გამოცდების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რამაც კონტინგენტი შეამცირა, მაგრამ მნიშვნელოვნად გაზარდა ხარისხი. მომავალში ანალოგიური ნაბიჯების გადადგმას ვაპირებთ სხვა მიმართულებითაც.

აწსუ-მ, რომელსაც, დაახლოებით, 11 000 სტუდენტი ჰყავს, გაიარა განვითარების ის ეტაპი, როდესაც აქცენტი რაოდენობაზე კეთდებოდა. ჩვენი მთავარი სტრატეგიული ორიენტირი ხარისხის გაუმჯობესებაა, რასაც თანმიმდევრულად ვავითარებთ კიდეც. საქართველოში არსებული უმაღლესი განათლების დაფინანსების სისტემა, ალბათ, ბევრ ჩვენგანში აღძრავს მისი შემდგომი სრულყოფის აუცილებლობის განცდას. არ ვფიქრობ, რომ სრულად შესაცვლელია, მაგრამ გარკვეული კორექტივების შეტანა ვითარებას გააუმჯობესებს. ჩემი აზრით, დაფინანსების არსებულ სისტემას აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები.

დადებითი მხარეები – საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსებამ გაზარდა უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა სხვადასხვა სოციალური ჯგუფისათვის; სახელმწიფო ხელს უწყობს პრიორიტეტული დარგების უზრუნველყოფას დეფიციტური კადრებით, რაც უნდა აბალანსებდეს შრომის ბაზარს; უნივერსიტეტებს უფლება აქვთ, დაფინანსებადი პროგრამებით მიღებული ფინანსური რესურსების ნაწილი მათთვის პრიორიტეტული სხვა პროგრამების განვითარებაზეც მიმართონ; გაუმჯობესდა უნივერსიტეტების ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებელი, რადგან სახელმწიფოსგან გარანტირებულად ღებულობენ ფინანსურ რესურსებს, იმ პირობებში, როდესაც სტუდენტებს სწავლის ქირის გადახდა უჭირთ და ა.შ.

უარყოფითი მხარეები – ხშირ შემთხვევაში, დაფინანსებად პროგრამებზე სტუდენტთა აკადემიური მოსწრება არ არის მაღალი, რის გამოც სახელმწიფო ვერ იღებს მის მიერ გაწეული ხარჯების ადეკვატურ აკადემიურ შედეგს; დაფინანსებადი პროგრამების გაჩენამ მნიშვნელოვნად დააზარალა არადაფინანსებადი პროგრამები, რადგან მათზე მოთხოვნა მკვეთრად შემცირდა; შემცირდა კონკურენცია როგორც უნივერსიტეტებს, ისე აკადემიურ პროგრამებს შორის, რადგან აბიტურიენტები ყურადღებას აქცევენ არა პროგრამის ხარისხსა და მოსალოდნელ შედეგებს, არამედ დაფინანსების არსებობას; უნივერსიტეტებმა მეტი ყურადღების მიქცევა დაიწყეს არა იმდენად პროგრამების ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება-განვითარებაზე, არამედ დაფინანსების მოპოვებაზე; არადაფინანსებად პროგრამებზე სტუდენტთა კონტინგენტის შემცირების კვალობაზე, რთული ვითარება იქმნება მათ მომსახურე პერსონალთან დაკავშირებით, რაც შეიძლება დამატებითი სოციალური პრობლემების წარმომქმნელი გახდეს და ა.შ.

შეიძლება ვისაუბროთ დაფინანსების სხვა მოდელის შემოტანაზეც, მაგრამ ეს ბევრად იქნება დამოკიდებული მთლიანად ქვეყნის ფინანსურ პოტენციალზე. მიუხედავად იმისა, დაფინანსების რომელ მოდელზე შევაჩერებთ ყურადღებას, ჩვენი აზრით, ის უნდა ითვალისწინებდეს რამდენიმე პრინციპულ საკითხს: იყოს ქვეყნის ფინანსური შესაძლებლობების ადეკვატური; ხელს უწყობდეს კონკურენციის ზრდას უნივერსიტეტებს შორის, ხოლო მათ შიგნით – პროგრამებს შორის; ხელს უწყობდეს განათლების ხელმისაწვდომობის შემდგომ ზრდას; ორიენტირებული იყოს ქვეყნისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე; უზრუნველყოფდეს სახელმწიფოსათვის მაღალკვალიფიციური კადრის მომზადებას; ზრდიდეს ახალგაზრდების მოტივაციას ამა თუ იმ პროფესიის ათვისებაში და ა.შ.

– აბიტურიენტების გარკვეულ ნაწილს, რომლებმაც მინიმალური ზღვარი გადალახეს, წელს უარი ეთქვათ უმაღლეს სასწავლებლებში დარჩენილ ვაკანტურ ადგილებზე. მისაღებია თუ არა თქვენთვის ეს გადაწყვეტილება და ზოგადად, რა აზრის ხართ მეორად ჩარიცხვებზე? გასულ წლებში გყავდათ თუ არა მეორადი ჩარიცხვით სტუდენტები და რამდენად კომფორტული იყო მათი ჩართვა სასწავლო პროცესში?

– პიროვნულად, მეორად ჩარიცხვებს არ ვუჭერ მხარს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ აბიტურიენტებს მიცემული აქვთ შესაძლებლობა, გამოცდების შედეგების გაგების შემდეგაც კი შეცვალონ და დააზუსტონ საკუთარი არჩევანი. ამ შესაძლებლობის არგამოყენება მათივე მიზეზით შექმნილი პრობლემაა. საზოგადოების წევრებს არ უნდა ჰქონდეთ განცდა, რომ ყველაფერი მათ სურვილებს „მოერგება“. პირიქით, თითოეული ჩვენგანი უნდა მიეჩვიოს კანონმორჩილებას და ეს თვისება ჯერ კიდევ ბავშვობის ასაკიდან უნდა გამომუშავდეს პიროვნებაში. წინა წლებში ჩვენ გვყავდა სტუდენტები, რომლებიც მეორადი ჩარიცხვით ჩაირიცხნენ. ვერ ვიტყვი, რომ მათ ჩარიცხვამ სასწავლო პროცესი „დაანგრია“, თუმცა, გარკვეული უხერხულობები ნამდვილად შექმნა.

– გაქვთ თუ არა ურთიერთობა საზღვარგარეთის სასწავლო-სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებთან, რომელ უნივერსიტეტებთან გაქვთ გაცვლითი და ერთობლივი, სტუდენტური, სამაგისტრო თუ სადოქტორო პროგრამები?

– უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში საერთაშორისო კავშირები მკვეთრად გაიზარდა. უნივერსიტეტი ძალიან აქტიურადაა ჩართული ევროპულ პროექტებში. მათ შორის აღსანიშნავია პროგრამა „ERAZMUS+“, რომლის ფარგლებში ჩვენი ათეულობით სტუდენტი სასწავლებლად წამყვან ევროპულ უნივერსიტეტებში მიდის. იმავე შესაძლებლობებს აძლევს აღნიშნული პროგრამა აკადემიურ თუ ადმინისტრაციულ პერსონალს, რომელსაც ასევე წარმატებით ვიყენებთ. უნივერსიტეტი არის პროგრამის „Mevlana“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, რომლის ფარგლებში ჩვენი არაერთი სტუდენტი ერთვება გაცვლით პროგრამებში თურქულენოვან სივრცეში.

გვაქვს ორმხრივი ურთიერთობები ცალკეულ უნივერსიტეტებთან, რომლის ფარგლებში, ვახდენთ სტუდენტთა ურთიერთგაცვლას, მათ შორის აღვნიშნავდი შემდეგ უნივერსიტეტებს: მისური კოლუმბია და მისური როლა (აშშ), დასავლეთ უელსის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი), იენის უნივერსიტეტი (გერმანია), ვერსალის უნივერსიტეტი (საფრანგეთი), რიგის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ლატვია) და ა.შ. ჩვენმა უნივერსიტეტმა, საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან პარტნიორობით, „ტემპუსის“ პროექტის ფარგლებში, შექმნა ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა „ბიოსამედიცინო ინჟინერია“. ეს ძალიან საინტერესო პრეცედენტია საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში და ვფიქრობთ, პროექტი წარმატებული იქნება.

ამჟამად, როგორც მოგეხსენებათ, მუშავდება საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც მოახდენენ ერთობლივი პროგრამების განვითარებისათვის სამართლებრივი ბაზის შექმნას, რის შემდეგაც, აწსუ გაცილებით აქტიური გახდება ამ მიმართულებით. უკვე არსებობს პროექტები, რომლებიც მოკლევადიან პერსპექტივაში გააქტიურდება.

– დღეისათვის ახალგაზრდების დასაქმება ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემაა. ხომ არ აქვს უნივერსიტეტს რაიმე პროგრამა ამ მიმართულებით საკუთარი კურსდამთავრებულებისათვის?

– დასაქმების პრობლემა ძალიან აქტუალურია მთელი ქვეყნის მასშტაბით და არა მარტო ახალგაზრდებისათვის, განსაკუთრებით რეგიონებში. უნივერსიტეტის ზრუნვა საკუთარი კურსდამთავრებულებისა თუ სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობისათვის რამდენიმე მიმართულებას აერთიანებს, მათ შორის: სულ უფრო მეტად ინერგება და პოპულარული ხდება ელექტრონული სწავლების ფორმა, რომელიც ხელს უწყობს დასაქმებულ სტუდენტებს, არ ჩამორჩნენ სასწავლო პროცესს; პოტენციური დამსაქმებლები ჩართულნი არიან აკადემიური თუ პროფესიული პროგრამების შემუშავება-განვითარებაში, რაც ზრდის მათი კურსდამთავრებულების დასაქმებით ორგანიზაციების დაინტერესებას; ეწყობა შეხვედრები, ურთიერთობის დამყარება დამსაქმებლებსა და სტუდენტებს შორის; სხვადასხვა ბიზნესები, სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციები ხშირად მოგვმართავენ რეკომენდაციებისათვის, რის შედეგად ხდება ჩვენი სტუდენტებისა თუ კურსდამთავრებულების დასაქმების ხელშეწყობა; უნივერსიტეტი მონაწილეობს სხვადასხვა დასაქმების ფორუმში და ა.შ.

– ხშირად სტუდენტები გამოთქვამენ პრეტენზიას საჭირო სახელმძღვანელოების ქართულ ენაზე არარსებობის გამო. არის თუ არა თქვენთან ეს პრობლემა და თუ ასეა, როგორ აგვარებთ?

– სტუდენტების საჭირო სახელმძღვანელოებით აღჭურვა და ელექტრონულ ბაზებზე მათი თავისუფალი წვდომის პირობების შექმნა, ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე დიდი საზრუნავია. ამიტომ, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაინერგა არაერთი სიახლე, რომელიც ამ საკითხის მოგვარებას უწყობს ხელს. კერძოდ: 2010 წელთან შედარებით, ფაქტობრივად, გახუთმაგდა წიგნებისა და პერიოდიკის შესაძენად გამოყოფილი თანხა და ყოველწლიურად, დაახლოებით, 150 000 ლარს ვხარჯავთ ახალი წიგნებისა და პერიოდიკის შესაძენად. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა გაწევრიანდა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციაში, რომელიც ყოველწლიურად გვთავაზობს შემდეგ ელექტრონულ ბაზებს:

- ებსკო ჰოსტი (EBSCO Host)
- კემბრიჯის უნივერსიტეტის ჟურნალები (Cambridge University Journals)
- სამეფო საზოგადოების ჟურნალების კოლექცია (Royal Society Collection)
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდა ელსევიერის ფონდიც.

ბიბლიოთეკაში, 2011 წლიდან, მუშაობს ინტეგრირებული საბიბლიოთეკო კატალოგის სისტემა (OPAC), რომელშიც დღეისათვის შეყვანილია ჩვენი წიგნადი ფონდის 5000-ზე მეტი ერთეული. კატალოგთან ინტეგრირებულია GoogleBooks საძიებო სისტემა და გუტენბერგის ბაზა (მოიცავს 40 000 ერთეულს). ხელშეკრულების საფუძველზე, 2012 წლის ოქტომბრიდან, ჩაირთო ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის ცირკულარის სერვისი (ცირკულაციის მოდული მომხმარებლების მიერ წიგნების მიმოქცევის პროცესის სრულ მენეჯმენტს ასრულებს). იმავე ხელშეკრულების ფარგლებში, გადამზადდნენ თანამშრომლები. ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში (პირველი კორპუსი) არსებულ კომპიუტერებში განთავსდა ელექტრონული წიგნები.

სამკითხველო დარბაზები აღიჭურვა კომპიუტერებით, ასლგადამღები და ამოსაბეჭდი აპარატებით; მომზადდა ახალი საბიბლიოთეკო კორპუსის პროექტი, დაახლოებით 2,5 მლნ. ლარის ღირებულების, რომლის 20%-ს უნივერსიტეტი დაფარავს, დაახლოებით ამდენივეს – ქუთაისის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა, ხოლო დანარჩენი ცენტრალური ბიუჯეტიდან დაიფარება. პროექტმა პირველადი განხილვა წარმატებით გაიარა და იმედი გვაქვს, მისი რეალიზება მიმდინარე წლიდან დაიწყება.

აღსანიშნავია ისიც, რომ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ იქმნება არაერთი სახელმძღვანელო, დამხმარე სახელმძღვანელო, სალექციო კურსი და ა.შ., რომლებიც თავისუფლად ხელმისაწვდომია ჩვენი სტუდენტებისათვის.

– რას გვეტყვით სტუდენტური თვითმმართველობის შესახებ, აფინანსებს თუ არა უნივერსიტეტი მის საქმიანობას?

– საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციას არა აქვს უფლება ჩაერიოს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში, მ.შ. ფინანსურ საკითხებში. შესაბამისად, ჩვენ მათ საქმიანობას არ ვაფინანსებთ.

თუმცა, იმავე კანონმდებლობის მიხედვით, სტუდენტური თვითმმართველობის ბიუჯეტი შეიძლება შეადგენდეს უნივერსიტეტის ბიუჯეტის არა უმეტეს 1%-ს. აქედან გამომდინარე, აწსუ-ს სტუდენტურ თვითმმართველობას საკმაოდ დიდი ბიუჯეტი აქვს.

გამომდინარე იქიდან, რომ აწსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობა ძალიან აქტიური და მოტივირებულია, საკუთარი ბიუჯეტის ფარგლებში აფინანსებს არაერთ სამეცნიერო-ინტელექტუალურ, სპორტულ, კულტურულ, შემეცნებით, გასართობ, სოციალური დახმარების და ა.შ. პროგრამებსა თუ ღონისძიებებს. თვითმმართველობა სტუდენტებთან, სტუდენტურ ჯგუფებთან თუ ორგანიზაციებთან საკუთარ ბიუჯეტს ათანხმებს დაგეგმვის ეტაპზე და, ფინანსური წლის ბოლოს, აბარებს ანგარიშს ბიუჯეტის ხარჯებთან და განეულ მუშაობასთან დაკავშირებით.

– გვიამბეთ საუნივერსიტეტო ფონდის საქმიანობის შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში (წარმატებული სტუდენტების წახალისება, სოციალურად დაუცველთა დაფინანსება და ა.შ.).

– აწსუ-ს სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია არაერთი სასტიპენდიო პროგრამა, კერძოდ: სახელმწიფო სტიპენდია, სახელობითი სტიპენდია (კერძო დონორების ინიცირებით), საუნივერსიტეტო სტიპენდია. უნივერსიტეტში საკმაოდ წარმატებით მუშაობს სტუდენტური დასაქმების პროგრამა, რომლის ფარგლებში ხელს ვუწყობთ განსაკუთრებით შეჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი სტუდენტების დასაქმებას აწსუ-ს სტუდენტური სერვისების ოფისებში, ბიბლიოთეკაში და ა.შ. უკვე ტრადიციად ყალიბდება სტუდენტების სტაჟიორებად აყვანა სხვადასხვა საუნივერსიტეტო სამსახურების მიერ, მათი მომავალი დასაქმების პერსპექტივით.

2011 წლიდან, უნივერსიტეტში, ავამოქმედეთ სპეციალური პროგრამა, რომლის ფარგლებში უნივერსიტეტი ფინანსური ვალდებულების დაფარვაში ეხმარება შემდეგი კატეგორიის სტუდენტებს: ლტოლვილები, უდედმამოები, სოციალურად დაუცველები, სტუდენტური ოჯახები, სტუდენტები სამი და მეტი შვილით, მრავალშვილიანი ოჯახის წევრები, განსაკუთრებული სამედიცინო დახმარების საჭიროების მქონენი და ა.შ. ყოველსემესტრულად, უნივერსიტეტისა და სტუდენტური თვითმმართველობის ბიუჯეტიდან, აღნიშნული მიზნით, დაახლოებით, 40 000 ლარამდე იხარჯება.

მოამზადა მაკა ყიფიანმა

სერიოზული შანსი და მოტივაცია პედაგოგებისათვის

მიმდინარე წელს მარნეულის მუნიციპალიტეტის განათლების სფეროში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, ადრე დაწყებული პროექტები გრძელდება და ვითარდება, იცვლებიან და კონკურსის წესით ინიშნებიან ახალი დირექტორები, იცვლება პრიორიტეტები და გამოწვევები, დროდადრო თავს იჩენს პრობლემებიც.

ახალი, 2015-16 სასწავლო წელი კი, ნამდვილად გამორჩეული იქნება ჩვენი პედაგოგებისათვის, მათივე კარიერული ზრდის თვალსაზრისით. ბუნებრივია, გამონაკლისი ამ მხრივ არც მარნეულელი პედაგოგები იქნებიან. რესურსცენტრის უფროსი, **რუსლან გაჯიევი** ამბობს, რომ სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებული პროფესიული განვითარების სქემა სერიოზული შანსი და მოტივაციაა თითოეული პედაგოგისთვის, აიმაღლოს კვალიფიკაცია და, შესაბამისად, გაიუმჯობესოს ფინანსური მდგომარეობა. რესურსცენტრსაც და სკოლების დირექციებსაც სერიოზული ორგანიზაციული ხასიათის სამუშაოს გაწევა მოუწევთ, პედაგოგების სქემაში ჩართვისა და საფეხურიდან საფეხურზე გადასასვლელად მომზადებისათვის. *„2500 პედაგოგი მუშაობს მარნეულის 74 საჯარო სკოლაში. მათი დიდი უმრავლესობა (46 სკოლა) აზერბაიჯანული სკოლის პედაგოგია, 3 სკოლა რუსულია, 7 – სომხური, ხოლო 9 – ქართული. ასე რომ, ეს მრავალენოვანებაც ქმნის გარკვეულ სირთულეს ენობრივი ბარიერის თვალსაზრისით, თუმცა, დღეისათვის ეს პრობლემად აღარ მიიჩნევა. სახელმწიფოს მიერ, წლების განმავლობაში განხორციელებულმა ეფექტურმა პროექტებმა კარგი შედეგები მოგვცა. დინამიკას რომ ვაკვირდები, ვრწმუნდები, 5 წელიწადში, ჩვენს რეგიონში, ეს პრობლემა მოიხსნება. ამას რომ ვამბობ, ჩემი შვილის თაობას ვგულისხმობ. იგი VIII კლასშია, მარნეულის №2 სკოლის ქართულ სექტორზე სწავლობს და ხშირად მეხმარება ხოლმე, ჩემზე უკეთ ფლობს სახელმწიფო ენას. წელს იყო პრეცედენტი, როცა ჩვენი რაიონის რამდენიმე კურსდამთავრებული პირდაპირ არჩეულ ფაკულტეტზე მოხვდა და არა მოსამზადებელზე, მომავალ წელს უფრო მეტი იქნება ასეთი“* – გვეუბნება ბატონი რუსლანი.

რესურსცენტრის უფროსის ეს ოპტიმიზმი უსაფუძვლო ნამდვილად არაა. მიმდინარე სასწავლო წლიდან მარნეულის რაიონის კიდევ 20 სკოლაში განხორციელდება პროექტი „ქართული როგორც მეორე ენა“, რომელიც უკვე განსაკუთრებულად პოპულარული გახდა ჩვენი ქვეყნის არაქართულენოვან რეგიონებში – სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში. ბატონი რუსლანი ამბობს, რომ ამ პროექტის პედაგოგების მიმართ რადიკალურად შეცვლილია არა მარტო სკოლების პედაგოგებისა და მშობლების, არამედ იმ სოფლების მცხოვრებთა დამოკიდებულება, სადაც ისინი ჩადიან. *„ჩვენმა ბავშვებმა – აზერბაიჯანელებმა, სომხებმა, ქართველებმა, რუსებმა, თითქმის, მთელი საქართველო მოიარეს, რაც, ძირითადად, პროექტში მომუშავე მასწავლებლების დამსახურებაა. ახლა ზუგდიდიდან ველოდებით იმ სკოლის მოსწავლეებს, სადაც მარნეულელმა მოსწავლეებმა, მიმდინარე სასწავლო წელს, ერთი კვირა ისწავლეს და იცხოვრეს თანატოლების ოჯახებში; სადახლოს №1 სკოლის მოსწავლეებმა ისტორიულ თემაზე დადგმული სპექტაკლი, ბათუმში, ქართულ ენაზე ითამაშეს და ფესტივალის გამარჯვებულები გახდნენ“.*

რესურსცენტრის უფროსი, ინფრასტრუქტურულ პროექტებზე საუბრისას, ხაზგასმით ამბობს, რომ შარშან და წელს, ამ მიმართულებით, გაცილებით მეტი გაკეთდა, ვიდრე ბოლო 10 წლის განმავლობაში. ნაწილობრივი და მთლიანი სარემონტო სამუშაოები ჩატარდა: ულაშლოს, კერამუღანლოს, შაუმიანის №1, წერაქვის, ბაითალოს, ბეითარაჩის, ბაიდარის, საბირკენდის №1, ქიზილაჯლოს №2, კასუმოს საჯარო სკოლებში. ბევრ სოფელში შეყვანილია გაზი და, სარემონტო სამუშაოების პარალელურად, სკოლების გაზიფიცირებაც მიმდინარეობს. რესურსცენტრის თანამშრომლებისთვის ეს პერიოდი განსაკუთრებით დაძაბულია – 40 000-ზე მეტი სახელმძღვანელოს სკოლებისთვის მიწოდება უმოკლეს ვადაში უნდა უზრუნველყონ.

კიდევ ერთი პრიორიტეტული მიმართულება, რომელსაც რესურსცენტრის უფროსი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს, ინკლუზიური განათლებაა. *„საკითხის სირთულე მხოლოდ ის არ არის, რომ სკოლებში შესაფერისი გარემოს შექმნა სასიცოცხლოდ აუცილებელია ასეთი ბავშვებისთვის, სირთულე საზოგადოების საკითხისადმი დამოკიდებულებაშია. გასული წლიდან როგორც ქალაქის, ისე რამდენიმე სოფლის 10 სკოლაში მუშაობს ინკლუზიური კლასები, გვყავს სპეციალური პედაგოგები, რომლებმაც ტრენინგები გაიარეს. ახლად გარემონტებულ სკოლებში გათვალისწინებულია მათი საჭიროებები“.* ბატონი რუსლანი გვირჩევს მე-2 საჯარო სკოლას ვეწვიოთ, რომელსაც რვა თვეა ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის კარგად ნაცნობი შორენა ხუხუა ხელმძღვანელობს. წლების განმავლობაში იგი სადახლოს სკოლაში ქართულის მასწავლებლად მუშაობდა, „იმედის გმირებში“ ფეისბუქის მომხმარებელთა რჩეულიც იყო. აქტიური, ხალისიანი, თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალი. დანარჩენზე თავად ისაუბრებს.

დირექტორობა მართლაც სხვა სამყაროა

შორენა ხუხუა: *„მოგეხსენებათ, ეტლში საკმაო დროის განმავლობაში ვიჯექი, ეტლთან ერთად ცხოვრება ჩემი სიცოცხლის ნაწილი იყო. ამიტომაც სკოლის განვითარების გეგმაში ინკლუზიური სწავლება პრიორიტეტულ საკითხად შევიტანე და გადავწყვიტე, საქმით შემეწყო ხელი ამ ადამიანებისათვის. სხვათა შორის, ვამაყობ და მადლიერი ვარ ჩემი პროგრამის ხელმძღვანელის, რომელმაც ეტლში მჯდომი დამაბრუნა სადახლოს სკოლაში. არასოდეს დამავიწყდება, როგორ მეხმარებოდნენ ბავშვები მანქანიდან გადმოსვლაში, შენობაში შესვლაში. ხელშემწყობი არავითარი პირობა არ იყო არა თუ სკოლაში, არსად სხვაგან. ამას ჩემთვის ხელი არ შეუშლია საქმის კეთებაში. მგონი, ყველაზე აქტიური სწორედ იმ პერიოდში ვიყავი, ალბათ იმიტომ, რომ მინდოდა დამემტკიცებინა, აქედანაც ყველაფერი შემეძლო. ყველა გამოცდა მაშინ ჩავაბარე, დირექტორობისაც კი, თუმცა თანამდებობაზე ნამდვილად არ მიფიქრია, ეს მოგვიანებით მოხდა. მოვლენები აეწყო ისე, რომ გადაწყვეტილება მივიღე ამ სფეროშიც მეცადა ბედი. მართლაც სხვა სამყაროა ხელმძღვანელის პოსტი – არის საკითხები, რომლებსაც ვერ წყვეტ (შენზე არ არის დამოკიდებული), არის ბარიერები, რომლებიც შეიძლება ვერ გადალახო. ძალიან რთული იყო შშმ ბავშვების მშობლების დარწმუნება, რომ მოეყვანათ თავიანთი შვილები სკოლაში, ასევე წინააღმდეგობა შემხვდა, ზოგადად, მშობლების მხრიდან. საბედნიეროდ, შევძელით ორივე მხარის დარწმუნება და I კლასში, ქართულ სექტორზე 13 წლის ლევანი მივიღეთ, რომელიც ძალიან გონიერი ბიჭია, უყვართ ბავშვებს და ერთმანეთს ეჯიბრებიან მასზე ზრუნვაში. კი არ ებრალებათ, რასაც ხშირად ვგრძნობდი, როცა ეტლში ვიჯექი, უყვართ და გულშემატკივრობენ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია მათთან ურთიერთობისას.*

ჯერჯერობით 4 სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლე გვყავს. კიდევ სამის შესაფასებლად საჭირო პროცედურა მიმდინარეობს, მათთვის შექმნილია სპეციალური პროგრამები, გვყავს კონკურსით შერჩეული პედაგოგიც. სწავლასთან ერთად, სასურველია, სასკოლო აქტივობებშიც ჩავრთოთ ისინი, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება. მე დღემდე მომყვებიან იმდროინდელი მეგობრები, რომლებთან ერთადაც სპორტულ ღონისძიებებში, ოლიმპიადებში ვმონაწილეობდი. მიხარია და ვამაყობ, რომ 14 სექტემბერს ისინი მარნეულში ჩამოვიდნენ ჩემი მოსწავლეებისთვის ახალი სასწავლო წლის მისალოცად“.

ქალბატონმა შორენამ ლევანიც გამაცნო და აიშეც. გაუმართლათ ამ ბავშვებს, სხვებსაც... ისეთი დირექტორი ჰყავთ, მხოლოდ წაკითხულითა და ნასწავლით კი არა, საკუთარი გამოცდილებითაც კარგად იცის, როგორ დაეხმაროს მათ გარესამყაროსთან ინტეგრაციაში, საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენაში. ეს კი სასიცოცხლოდ აუცილებელია თითოეული მათგანისათვის ისევე, როგორც ის ადაპტირებული გარემო, რომელიც სკოლის ეზოდან იწყება, შესასვლელით, საკლასო და რესურსოთახებითა და ტუალეტით მთავრდება, რომელიც პედკოლექტივმა საკუთარი ძალებით გააკეთა, ზაფხულის განმავლობაში.

კიდევ ბევრი რამ მოასწრო რვა თვეში – პედაგოგების მომზადება სერტიფიცირებისათვის, უფასო ქართული ენის შემსწავლელი წრე აბიტურიენტებისათვის, ვინც ქართულს აბარებს, სექტემბრიდან ახალი პროცესი დაიწყო – პედაგოგთა ჩართვა პროფესიული განვითარების სქემაში. დღეისათვის 18 პედაგოგი სერტიფიცირებულია, 7 უფროსი პედაგოგია. ქართული სექტორის გასაძლიერებლად, დამატებით, 3 პედაგოგი მიიღო სკოლამ პროექტით „ქართული ენა მომავალი წარმატებისათვის“. ქართულ სექტორზე ორი პირველი კლასი რუსებით, უკრაინელებით, აზერბაიჯანელებით, ყაზახებით დაკომპლექტდა. *„ბევრი დევნილია უკრაინიდან, ისინი, ძირითადად, რუსულ სექტორს ირჩევენ, მალე უკან დაბრუნების იმედით. ჩვენ ხელს ვუწყობთ როგორც შეგვიძლია“* – ამბობს დირექტორი.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სკოლაში ნამდვილად სანიმუშო წესრიგია – სპეციალური საშვების გარდა ეზოში ვერავინ შევა, მშობლები პატარებს გარეთ ელოდებიან. ეს წესი ყველაზე ვრცელდება. დირექციის ნებართვის გარეშე ვერც ერთი თანამდებობის პირიც კი სკოლის ეზოში ვერ შევა. მანდატურები პირნათლად ასრულებენ დირექციის ამ მოთხოვნას. ამ და ბევრ სხვა საკითხშიც დირექტორს თანამოაზრეები ჰყავს, ახალგაზრდა პედაგოგები – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთვრებული **დათო კამკამიძე**, რომელიც, 3 საუკეთესო პედაგოგთან ერთად, მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით, პრემიერ-მინისტრმა დააჯილდოვა, როგორც ყველაზე ახალგაზრდა პედაგოგი (23 წლის); **თემო სუყაშვილი**, ისტმენეჯერი და მისი ძმა **ზაზა სუყაშვილი**, ბუღალტერი. *„მათი ტრენერი ვიყავი, შემდეგ დათო და თემო სადახლოში წამოვიდნენ სამუშაოდ, ხოლო სექტემბრიდან დათო მოადგილედ გადმოვიყვანე. დარწმუნებული ვარ, ერთად ბევრ კარგ საქმეს გავაკეთებთ. წესიერი, საქმის და პროფესიის ერთგული ახალგაზრდები არიან. ვიცი, იდეალისტთან მუშაობა ადვილი არაა, მაგრამ კარგად ვიცნობ სამივეს და მათი იმედი მაქვს“.*

ტრადიცია გრძელდება

მარნეულის №6 სკოლაში სტუმრობა, ძირითადად, მისი ახალი დირექტორის, **ლელა ახსაბაძის** მონახულების გამო გადავწყვიტე. იგი წლების განმავლობაში სოფელ წერაქვის სკოლას ხელმძღვანელობდა და არაერთხელ ვყოფილვარ მოწმე, რამდენი ძალა და ენერგია სჭირდებოდა იმ პრობლემების მოსაგვარებლად, რომელიც გამუდმებით უხვად ჰქონდა ამ ისტორიული წარსულისა და მნიშვნელობის სკოლას. ისიც აღსანიშნავია, რომ ვიდრე ამ სკოლაში ქართული სექტორი გაიხსნებოდა (80-იანი წლების ბოლოს), მარნეულში ერთადერთი ქართული სკოლა ფუნქციონირებდა. დირექტორის მოადგილე **მურად მაისურაძე** იხსენებს (სამწუხაროდ ქალბატონ ლელას ვერ შევხვდი), რომ პირველი მოსწავლეები ქართულ სექტორზე აზერბაიჯანელები იყვნენ. ყოველწლიურად იზრდებოდა ინტერესი და შესაბამისად – კონტინგენტიც. სკოლის პედაგოგების ძალისხმევამ შედეგი გამოიღო, არაქართულენოვანი მოსწავლეები უფრო და უფრო მეტ ინტერესს იჩენდნენ ქართული ენის, კულტურისა და ისტორიის მიმართ. 90-იანი წლების ბოლოდან უკვე ახალი ტრადიცია დამკვიდრა – სკოლის პირველი კურსდამთავრებულების შვილები შემოვიდნენ I კლასში. დღემდე ასე გრძელდება.

დიდი სკოლაა, 1300-ზე მეტი მოსწავლით, კარგი აკადემიური შედეგებით, კომპიუტერული კლასებითა და საგნობრივი ლაბორატორიებით, „მომავლის კლასით“, ოლიმპიადებში გამარჯვებულებით, მარნეულის ორგზის და საქართველოს ჩემპიონებით „მხიარულ სტარტებში“, მარნეულის და ქვემო ქართლის ჩემპიონებით ინტელექტთამაშებში. ასეთი მიღწევების სკოლა უდავოდ იმსახურებს უკეთეს, თანამედროვე საკლასო ოთახებსა და სპორტდარბაზს. იმედია, ასეც იქნება.

მოამზადა
ანა ფირცხალაიშვილმა

რეგიონი

ინკლუზიური განათლება

* * *

მანდატურმა დამიკაკუნა კარზე:

– გისმენ.

– მშობელი გელოდებათ, დირექტორის ნახვა მინდაო, ბავშვი მოჰყავს ამ სკოლაში.

– არ მაქვს ადგილები.

– შემოვიდეს? ვუთხარი, რომ ვერავის მიიღებთ, სავსეა კლასები და მაინც თქვენს ნახვას მოითხოვს.

– შემოვიდეს.

მორიდებული იერით, გამხდარმა, თაგვისფერთმიანმა ქალმა შემოაბიჯა. არ ჰგავდა ჩვეულებრივ მთხოვნელს, ზოგი საჩხუბრად შემართულია, მიზეზს ეძებს სიტყვაზე ჩაგეჭიდოს. მეტწილად რიდი იგრძნობა, თითქოს ბავშვობიდან გადმოჰყვათო დირექტორის მიმართ პატივისცემა.

დაბნეული იდგა, შევთავაზე სკამი, კიდეზე ჩამოჯდა. რაღაცნაირად მოკუნტული, თითქოს შეშინებული რაღაც ფარული დანაშაულით.

– გისმენთ, რით შემიძლია დაგეხმაროთ?

– თქვენ ინვალიდი ხართ? – გამაოცა კითხვამ. უსიამოდ მომხვდა გულზე „ინვალიდი“.

– არა, მაგრამ ეტლში გავატარე რაღაც პერიოდი.

– არ გეტყობათ.

– მეტყობა, როცა დავდივარ, დაკვირვებული თვალი შეამჩნევს, – ხელები ვერსად მიჰქონდა. დამნაშავე სახით იჯდა.

– სკოლაში გყავთ ინვალიდები?

– კი, რამდენიმე სპეციალური საჭიროების მოსწავლეა აქ. – ვცდილობ, ვაგრძნობინო არ თქვას „ინვალიდი“.

– ერთადერთი შვილი მყავს, დაუნის სინდრომით, არ იღებენ ბაღში, ყველამ უარი მითხრა, არავის უნდა ზედმეტი პრობლემა, – ატირდა. წყალი დავუსხი, ხელზე ხელი დავადე, ადამიანებს ამშვიდებთ სითბო.

– რამდენი წლისაა?

– 4 წლისაა და ხალხმა მითხრა თქვენ ეხმარებით ასეთ ბავშვებს.

– კი, ვეხმარები, მაგრამ სასკოლო ასაკის უნდა იყოს.

– მიიღებთ ჩემს შვილს სკოლაში?

– რა თქმა უნდა. მყავს ბავშვები გონებრივი ჩამორჩენით, ცერებრალური დამბლით, აუტიზმით, დაუნის სინდრომითაც.

– შორს ვცხოვრობ, ახლა სოფლიდან მოვედი, აქ როგორ ვატარო? – ჩაფიქრდა.

– 2 წელი ვერ მოვა და მანამდე მოვიფიქრებთ რამეს.

– ბაღში არ იღებენ, შარიაო შენი შვილი, არაფერს აშავებს, უბრალოდ, არ ლაპარაკობს. ძალიან თბილია, ყველაფერი ესმის, დამჯერია, წყნარი, – მარწმუნებს.

– მჯერა, მაგრამ ჯერ პატარაა სკოლისთვის.

– დარეკავთ ბაღში?

– სამინისტროში დავრეკავ. – ავიღე ტელეფონი, დავურეკე, ვისაც სკოლიდან ვაბარებთ ანგარიშს სსსმ ბავშვებზე. ვკითხე ჭკუა.

– არ გვეხება ბაღები, გამგეობას მიმართოს ან მერიას.

მშობელმა მაშინვე ამოიღო წერილი.

– აი, წაიკითხეთ, დავწერე.

წერილში დეტალურად იყო აღწერილი სიტუაცია. გულისმომკვლელად ითხოვდა დედა დახმარებას შვილისთვის, რომ ბაღში მიეღოთ.

– მიიტანეთ გამგეობაში.

– ხვალ მივიტან, ერთი თხოვნა მაქვს.

– გისმენთ.

– შეგიძლიათ თქვენი ბავშვები მაჩვენოთ? ის ოთხი.

– კი, ბატონო. – ისტმენეჯერს დავუძახე.

– თემო, რომელი სსსმ ბავშვია ამწუთას სკოლაში?

– აიშე და ლევანი.

– აიშეს უთხარი, დირექტორს მოენატრე-თქო და გამოგყვება.

– კარგი.

დაველოდეთ. ქალი დაძაბული იჯდა. ცოტა ხანში გაიღო კარი და თემომ აიშე შემოიყვანა. მეექვსე კლასშია, უპეები ხშირად ულურჯდება, კოპშეკრული იყურებოდა, ვიგრძენი ძალიან ნაწყენია.

– მოდი ჩემთან, ვინ გაგაბრაზა, აიშე, – ვიფიქრე, ხომ არ დაფრთხა, რომ წამოიყვანეს კლასიდან. უფრო შეკრა წარბი, მოვიდა, ხელები შემომხვია და თავი დამადო:

– ეშგინმა, ეშგინმა... მე... ეშგინმა.

– რაო, რა გითხრა? – თავზე გადავუსვი ხელი. გული ძალიან უცემდა, აშკარად შფოთავდა:

– ხელს მიშლიო, ეშგინმა, ხელს მიშლიო, არ ვუშლი, არ ვუშლი. – მივიხუტე, ნელ-ნელა დაწყნარდა. კოპს მაინც კრავდა.

– ვიცი, რომ არ უშლი, დაველაპარაკები ეშგინს, აიშე, ნუ გეშინია.

– არ ვუშლი, არა, შენ გიშლი?

– არ მიშლი, მე ხომ იცი, ძალიან მიყვარხარ.

– ვიცი. პლასტელინი ხომ მაჩუქე, მაჩუქე, ხომ მაჩუქე? – მიმეორებს გულმოდგინედ.

– გაჩუქე.

– დედამ აიღეო, არ გაჩუქაო, არ დამიჯერა, უთხარი, დამიჯეროს.

– აუცილებლად ვეტყვი, – ლოყა მომადო, გაიტრუნა. მერე მომციდა და დოინჯი გაიკეთა:

– პლასტილინით ვთამაშობ.

– კიდევ გაჩუქო?

– მაქვს.

– ფანქრები ხომ არ გინდა?

– მაქვს.

– რვეული?

– მაქვს. ეს რატომ ტირის? – ახლაღა მივაქციე მშობელს ყურადღება, იჯდა და ცრემლები სცვიოდა, თავს ვერ იკავებდა.

– აბა, ვკითხოთ, რატომ ტირი? – ქალმა მაშინვე მოიწმინდა ცრემლები.

– რატომ ტირი? – გაუმეორა აიშემ. *– მე გაგაბრაზე? რატომ ტირი?* – გაიღიმა მოტირალმა.

– თავი მტკივა და ვტირი.

– დალიე წამალი. დირექტორი მოგცემს. ხომ მისცემ?

– მივცემ, აბა, რას ვიზამ, აიშე.

– არ იტირებ? ხომ არ იტირებ? – ისევ დოინჯშემორტყმული უყურებს მკაცრად.

– არა, აღარ ვიტირებ. მოგწონს სკოლა?

– ხან მომწონს, ხან არა.

– მასწავლებლები გიყვარს?

– ანა მიყვარს, კიდევ მაია მიყვარს, საბინა და დირექტორი. დირექტორს ორი სახელი აქვს.

– მართლა?

– კი, დირექტორი ჰქვია და შორენა ჰქვია. ორივე ჰქვია.

– მე შორენა მქვია, აიშე და დირექტორად ვმუშაობ.

– აქ მუშაობ?

– კი, აქ ვმუშაობ.

– რას აკეთებ?

– ოთახი მოგწონს? გაკვეთილის მერე რომ თამაშობ და ხატავ?

– კი.

– ეგ გაგიკეთე, მასწავლებელი ანა მოგიყვანე. ხომ გიყვარს ანა.

– პლასტილინი და ფანქარიც შენ მიყიდე?

– კი, მე გიყიდე.

– კომპიუტერიც?

– კომპიუტერიც.

– პუფები?

– პუფებიც.

– აბა, კარგად მუშაობ.

– მე მგონი კარგად ვმუშაობ.

– მეც ასე მგონია, – დამეთანხმა.

მასწავლებელი შემოვიდა.

– წავიდეთ, აიშე?

– კი, დავხატოთ. შორენას დირექტორი არ ჰქვია.

– მართლა?

– პლასტილინი მაქვს, ტორტს გავაკეთებ. – ატიტინდა.

– წავიდეთ, აიშე. – გოგონა მომეხუტა, მერე მშობელს შეხედა ინტერესით, ისევ ტიროდა გალეული ქალი.

– არ იტირო, დირექტორს უთხარი, ის მოგცემს წამალს. – და გავიდა.

– არ შეიძლება ტირილი, დაწყნარდით. – დაველოდე. მშვიდად ვიყავი. მესმოდა მისი განცდები.

– ლევანიც მაჩვენეთ. – ჩავედით პირველ სართულზე. ადაპტირებული მაქვს ყველაფერი. დავათვალიერებინე პანდუსი, ტუალეტი, კლასები, დავუკაკუნეთ პირველ კლასს, სადაც ზის 13 წლის ლევანი ცერებრალური დამბლით. გაგვიღო კარი მასწავლებელმა.

ბავშვებმა ერთხმად დასჭექეს:

– გა-მარ-ჯო-ბა!!

– გაგიმარჯოთ, როგორა ხართ?

– კარ-გად!

ლევანი გაბადრული მომესალმა, ხელი ამიწია.

– ლევან, ეს ჩემი ნაცნობია, შენი გაცნობა უნდა.

– ძალიან კარგი, – მეტყველებაც უჭირს, სხეული უცახცახებს, მაგრამ გულმოდგინედ ცდილობს ხელი ჩამოართვას.

– ლევან, მოგწონს სკოლა?

– ძალიან.

– ახალი რა ისწავლე? – ვეკითხები.

– ცხოველები.

– ნახვამდის, – მალე დავტოვეთ კლასი, რადგან ქალი ისევ ტიროდა. დერეფანში მივაცილებდი, მანდატური მოიჭრა:

– კასტეტი ვუპოვეთ მოსწავლეს.

კასტეტი ბაზარში იყიდება, რკინის ნივთია, სახიფათო, ხელზე იკეთებენ და საშინელების დატრიალება შეუძლია, ისჯება მისი ტარება. აკრძალული ნივთია. გული გადამიქანდა.

– იჩხუბა კასტეტით?

– არა, ისე ეკეთა ხელზე.

– უბნის ინსპექტორს დაურეკეთ?

– კი, აგერაა. – ფორმიანი ინსპექტორი უკვე დერეფანში მოქროდა.

– დამრიგებელი სადაა? – მიმავიწყდა დღევანდელი სტუმარი, გავვარდი კლასისკენ ინსპექტორის შესაკავებლად.

– ასე არ შეიჭრათ ოთახში, ბავშვები არ დააშინოთ.

– აბა, როგორ გამოვიყვანო კლასიდან.

– მე გამოვიყვან. გვარი მითხარით.

– კი, ბატონო, – მიწვდის ჩანიშნულს.

გავაღე კლასი და გვარით ვუხმე მაღალკლასელ ბიჭს. ფერი ეცვალა.

– გამოდი, ნუ გეშინია, მეც აქ ვარ. – მანდატურის ოთახისკენ გავიყვანე. იდაყვზე შემეხო ვიღაც. მოვბრუნდი, მშობელი, რომლის სახელიც არ ვიცი.

– წავედი, დიდი მადლობა ყველაფრისთვის. თქვენ ნამდვილი დირექტორი ხართ, მოვალ ხოლმე თუ შეიძლება.

– მობრძანდით, როცა გნებავთ.

– ბავშვს მოვიყვან, გაგაცნობთ.

– ძალიან კარგი. – სასწრაფოდ დავემშვიდობე და შევდიე მოსწავლეს. ხელი ხელზე მეკიდა, ერთიანად ცახცახებდა. შეეშინდა ინსპექტორის.

– სად იყიდე კასტეტი? – მრისხანედ ჰკითხა პოლიციელმა.

– ნუ უყვირით, – აღვშფოთდი.

– არ ვუყვირი, ვეკითხები, თქვენ ამის მასწავლებელი ხართ? რას იცავთ ყოველ წამს, დირექტორს დაუძახეთ, გირჩევნიათ, – მკვახედ მითხრა.

– დირექტორი ვარ. – მაშინვე შეეცვალა სახე, ინტერესით დამაკვირდა.

– თქვენა ხართ შორენა?

– დიახ. – ვიგრძენი საქმე ისე წავიდოდა, როგორც საჭირო იყო.

– დააშავა ბავშვმა, მივხედავთ, არაა საჭირო ყვირილი და ფეხების ბაკუნი.

– გასაგებია, ქალბატონო, მაგრამ აქტი უნდა შევადგინოთ.

– გეთანხმებით, – ბიჭს შევხედე. ხელს არ მიშვებდა.

– აბა, დავიწყოთ, – მანდატურმა სკამი გამოსწია და ფურცელი აიღო.

საღამოვდება, მეორე ცვლა მალე წავა სახლში, ჯერ ისევ თბილა, არადა სექტემბრის ბოლო დღეებია.

ნეტავ, რამდენ ხანს ვიმუშავებ აქ?

მალე ოცდაჩვიმეტი წლის გავხდები.

ამაზე ფიქრის დროა?

გადავხედე ინსპექტორს, ჩუმად წერდა ისიც. კედელს მივეყრდენი ზურგით.

– პირველ შემთხვევაზე აჯარიმებთ?

– არა, ვაფრთხილებთ მშობელს.

– გასაგებია.

14 სექტემბერი მარნეულის №2 საჯარო სკოლაში

შორენა ხუხუა
მარნეულის მე-2 საჯარო სკოლის დირექტორი

სტუმარი

ემოციური უსაფრთხოების პრობლემა ქართულ სინამდვილეში

სუიციდი ადამიანური ცივილიზაციის თანმდევი უძველესი და უდავოდ მასშტაბური პრობლემაა. მსოფლიოში, ყოველწლიურად, მილიონამდე ადამიანი სიცოცხლეს თვითმკვლელობით ასრულებს, მცდელობების რაოდენობა კი გაცილებით მეტია. ამ მოვლენას განსაკურთებულ ტრაგიზმს ის გარემოება სძენს, რომ მსოფლიოში თვითმკვლელთა დიდი უმრავლესობა 15-24 წლისაა. „ჰუმან რაითს ვოთჩის“ მონაცემებით, 2008 წელს, საქართველო, 106 ქვეყანას შორის, ბოლოდან მეორე ადგილზე იყო თვითმკვლელობის შემთხვევებით. თუმცა, ეს მონაცემი კვლევების გარეშეც თვალხილულად უარესობისკენ იცვლება, რადგანაც განსაკუთრებულად იმატა მოზარდებში სუიციდის შემთხვევებმა. ეს შეფასება, რომ გადაჭარბებული არ არის, ბოლო დროს გახმაურებული ფაქტებიც მოწმობს. წელს, გაზაფხულზე, მოზარდთა თვითმკვლელობამ მასშტაბური სახე მიიღო, იყო შემთხვევა, როცა ერთ დღეს ორმა მოზარდმა დაასრულა ცხოვრება თვითმკვლელობით – თბილისში, ცაბაძის ქუჩაზე, 16 წლის ბიჭმა და, იმავე დღეს, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ლესიჭინეში მე-6 კლასელმა. საგანგაშოა ისიც, რომ საქართველოში სუიციდისადმი მიდრეკილი ასაკი გაცილებით დაბალია, ბოლო დროს დაფიქსირებული შემთხვევებიდან ხშირი იყო 11-დან 16 წლამდე ასაკი.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ყოველ 40 წამში, მსოფლიოში, ერთი ადამიანი სიცოცხლეს თვითმკვლელობით ასრულებს. მთავრობებისადმი ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციაა, მოხდეს სხვადასხვა სამინისტროს ქმედებების კოორდინირება. კერძოდ, დასახელებულია ჯანდაცვის, შრომის, სოციალური დაცვისა და იუსტიციის სამინისტროები.

თვითმკვლელობების ზრდის შეჩერება ევროკავშირის სამმა ქვეყანამ – შვედეთმა, ფინეთმა და ავსტრიამ – შეძლო, რასაც ფსიქიატრები ამ სახელმწიფოების მთავრობების მიერ, დროულად გატარებული სოციალური პროგრამებით ხსნიან.

ბუნებრივია, სახელმწიფოს მხრიდან მხოლოდ სურვილი, შემცირდეს სუიციდის შემთხვევები, შედეგს ვერ გამოიღებს.

მანამ კი, ვიდრე ხელისუფლება სერიოზულად იმსჯელებს გარკვეული პრევენციული ზომების გატარებაზე თვითმკვლელობების რაოდენობის შესამცირებლად, საზოგადოება გულხელდაკრეფილი ვერ იქნება. ალბათ, უდიდესი პასუხისმგებლობა ოჯახმა და სკოლამ უნდა გაინაწილოს, რათა დაიცვან მოზარდები თუნდაც ისეთი შემთხვევებისგან, 27 მარტს, სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგაში რომ მოხდა – 11 წლის ბიჭმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, მიზეზად თანაკლასელებთან შელაპარაკება დასახელდა. საზოგადოების არნახულმა გულგრილობამ, ფაქტია, ძალადობისა და თვითმკვლელობების პიკი შექმნა.

რა შეიძლება გახდეს მოზარდისთვის თვითმკვლელობის მაპროვოცირებელი მიზეზი? როგორია სკოლის როლი და ფსიქოლოგის საჭიროება? როგორ მოვახდინოთ პრევენცია და გავზარდოთ განულებული ბედნიერების ინდექსი? – ამ საკითხებზე გვესაუბრება ნომრის სტუმარი, ფსიქოლოგი **მაია ცირამუა.**

– რა ძირითადი ფსიქოლოგიური მიზეზები შეიძლება ჰქონდეს სუიციდს?

– საკმაოდ ფაქიზი თემაა. ვფიქრობ არასწორია როდესაც სუიციდს ერთმნიშვნელოვნად რაიმე გარკვეული ტიპის პრობლემას ვუკავშირებთ.

ძალიან ბევრი მეცნიერული მოსაზრება არსებობს, იმასთან დაკავშირებით, რომ სუიციდის მაჩვენებლები დამოკიდებულია ქვეყნის გეოგრაფიულ ადგილმდებარეობაზე, მაგალითად, არის მოსაზრება, რომ ჩრდილოეთის ქვეყნებში, სადაც მზე ნაკლებად არის და ადამიანები მზის ენერგიას ნაკლებად იღებენ, სუიციდის შემთხვევებიც მეტია. თუმცა, როცა სტატისტიკას გადახედეს, აღმოჩნდა, რომ არც მზიან ქვეყნებშია სუიციდის მაჩვენებლები ნაკლები, მაგ., ყირგიზეთში. ასე რომ, მხოლოდ გეოგრაფიულ ფაქტორს, ბუნებრივია, ვერ დავასახელებთ. სუიციდთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრება და კვლევა არსებობს. მეცნიერი ემილ დიურკჰეიმი თვითმკვლელობას უკავშირებდა ადამიანის საზოგადოებასთან ინტეგრაციისა და რეგულაციის დონეს, მაგალითად, – როგორია პიროვნების საზოგადოებასთან ინტეგრაციის ხარისხი (გამოყოფდა სუიციდის რამდენიმე ფორმას, რასაც აქ ახლა არ ჩამოვთვლით, მაგ., არის შემთხვევები, როცა ადამიანი ძალიან ინტეგრირებული, „შეზრდილია“ რაღაც იდეას – სოციუმში არსებულ გარკვეულ მოსაზრებას, რაც შეიძლება, მაღალ რისკს მივაკუთვნოთ. ასევე, შეიძლება მაღალი რისკი იყოს, როცა პიროვნება არ არის ინტეგრირებული სოციუმთან), მეორე განზომილებად დიურკჰეიმი მიიჩნევს საზოგადოების მხრიდან რეგულაციის მაჩვენებელს, ანუ ზეგავლენის ხარისხს.... ერთ-ერთ ფაქტორად სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობაც შეიძლება დავასახელოთ, ასევე სუიციდის მაპროვოცირებელი ფაქტორი შეიძლება გახდეს ის, თუ როგორ იღებს პიროვნებას სოციუმი, სადაც ის ცხოვრობს. მარტო დარჩენილი ადამიანი გაცილებით ცუდად გრძნობს თავს, ვიდრე ის, ვინც წარმატებით სოციალიზდა და ა.შ. არსებობს, ასევე, პიროვნების ტრავმული გამოცდილების ფაქტორიც, მაგ., დანაკარგის ან სხვა სახის ტრავმა, წარუმატებლობა, რასაც შესაძლოა თან სდევდეს სირცხვილისა და ბრალეულობის განცდა და სხვა, თუმცა, რასაკვირველია, **ასეთ ფატალურ გადაწყვეტილებას ყველა არ იღებს.** არსებობს პოსტტრავმული ფენომენიც, ე. წ. პოსტრავმული ზრდა, რომელიც, პირიქით, ადამიანებს ტრავმის შემდეგ ისე განაწყობს, რომ მეტი ძალისხმევით, მეტი სიბრძნით შეუდგებიან ცხოვრებას. სუიციდი მაინც ადამიანის პირადი დრამაა და ის, არა ერთი რომელიმე, არამედ რამდენიმე ფაქტორის თანხვედრით არის განპირობებული.

სუიციდის სიხშირისა და ხასიათის შესახებ ზოგჯერ ქვეყნები რეალურ მაჩვენებლებს მალავენ, რადგან არსებობს მოსაზრება, რომ ეს ქვეყანაში არსებული პრობლემების მაჩვენებელიცაა. საბჭოთა კავშირი ჩქმალავდა მსგავს შემთხვევებს, რადგან უნდა არსებულიყო მითი, რომ საბჭოთა ადამიანი ბედნიერი ადამიანია... რომ დავინტერესდეთ, შეიძლება ვერც კი მოვიპოვოთ ზუსტი სურათი სუიციდის მაჩვენებლების შესახებ იმ პერიოდისათვის. არის შემთხვევები, როცა შეგნებულად მალავენ თითმკვლელობის ფაქტებს, იმისათვის, რომ ნაკლებად მოხდეს საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფების დაინფიცირება ამ „იდეით“. თვითმკვლელობის ხშირი შემთხვევები ადამიანისთვის შეიძლება ინდუცირების წყაროდ იქცეს. ჩემთვის პირადად უხერხულია სტატისტიკაზე საუბარი ამ კონტექსტში, რადგან ერთი ადამიანი უდრის მთელ სამყაროს. შევთანხმდეთ იმაზე, რომ სუიციდის ხშირი შემთხვევა არ არის კარგი მაჩვენებელი, თავისთავად, კარგზე არაფერზე მეტყველებს.

– სამწუხაროდ, ბოლო დროს, საქართველოში ძალიან მომრავლდა თინეიჯერებში თვითმკვლელობის ფაქტები, რას გვეტყვით ამის შესახებ და რა უნდა მივიჩნიოთ სუიციდის მთავარ მაპროვოცირებელ მიზეზად?

– სამწუხაროდ, ისევ სტატისტიკის კონტექსტში გადაგვაქვს საკითხი. თუნდაც ერთი შემთხვევა უკვე დასაფიქრებელია. თითოეულ შემთხვევას სიღრმისეულად გაყოლა და დეტალური ანალიზი სჭირდება, რადგან სწორედ ამ ანალიზის შედეგად ამოიწევს ზედაპირზე ის მიზეზები, რეალურად რა გახდა სუიციდის მაპროვოცირებელი, მაგ., ეს შეიძლება იყოს ოჯახის ფაქტორი, რაიმე პირადი დრამა, შესაძლოა თანატოლებთან ურთიერთობას ან სასკოლო ცხოვრებას უკავშირებოდეს ან აღზრდის პრინციპებს, რომელიც მის გარემოშია მიღებული. ცნობილია, რომ ძალადობრივი გარემო სერიოზულად ზრდის რისკებს, ამიტომ ვამბობ, რომ თითოეულ შემთხვევას კონკრეტული მიზეზი ან მიზეზთა კომპლექსი აქვს, მაგალითად, ერთ-ერთი სუიციდის შემთხვევისას (არ მინდა დავაკონკრეტო) კარგად გამოჩნდა სამართლებრივი ფაქტორი (როგორც ერთ-ერთი ფაქტორი), 11 წლის ბიჭის სუიციდის მიზეზი (მაინც მომიწია ამ შემთხვევის დაკონკრეტება) გახდა ის, რომ სკოლაში თანატოლებისგან გაიგო, თითქოს ნაშვილები იყო – სინამდვილეში ეს ასე არ იყო. ამ შემთხვევას თუ გავაანალიზებთ, მიგვიყვანს კანონამდე, რომელიც ვერ უზრუნველყოფს, ამ შემთხვევაში, ბავშვის უფლებას იყოს დაცული მსგავსი მოვლენებისგან – კანონში ჩანაწერი რომ გვქონოდა, რომელიც ავალდებულებს ოჯახს, ნაშვილებ ბავშვს აუცილებლად თვითონ უთხრან ამის შესახებ და არ მიანდონ საზოგადოებას, რომელიც ამას ყოველთვის პიროვნების საწინააღმდეგოდ იყენებს.

კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ძალიან რთულია დააკონკრეტო სუიციდის გამომწვევი ფაქტორები, თითოეული შემთხვევის დეტალური და ღრმა კვლევის გარეშე, ასევე სახიფათოა ერთი შემთხვევის განზოგადებაც, რადგან ასე იქმნება მითები.

– ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ცნობით ყოველწლიურად ერთ მილიონზე მეტი ადამიანი იკლავს თავს, ყველაზე დიდი წილი მოზარდებსა და 25 წლის ქვევით ახალგაზრდებში თვითმკვლელობაზე მოდის. რატომ მოზარდები?

– ადამიანებში სუიციდის მეტი რისკი სწორედ კრიზისულ ასაკს უკავშირდება. მოზარდობის ასაკი, ხშირად ვამბობთ, ბეწვის ხიდზე გავლაა. ამ პერიოდში ძალიან იზრდება რისკი, თუნდაც დანაშაულებრივი, აგრესიული თუ ანტისოციალური ქცევების, იმავე სუიციდის. რატომ? იმიტომ, რომ ამ ასაკში ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური, სოციალური გარდატეხა ხდება; მოზარდი სერიოზული გამოწვევის წინაშე დგას, ბოლოს და ბოლოს, ამ ასაკში უნდა უპასუხოს შეკითხვას – ვინ ვარ მე? უნდა მოიპოვოს აღიარება თანატოლებში – ეს ძალიან მნიშვნელოვანი ამოცანაა.

ადამიანის ცხოვრებაში ფილოსოფიურ და ეგზისტენციალურ კითხვაზე პასუხის გამცემი სწორედ ეს ასაკია. შესაბამისად, ბევრი რამ არის გასათვალისწინებელი. გავიხსენებ ანა ფროიდის სიტყვებს მოზარდების შესახებ: *„იყო ნორმალური ამ ასაკში ეს არანორმალურია“*, ანუ ყოველგვარი ე.წ. „ნორმიდან გადახრა“ ამ ასაკში ითვლება ნორმად – პროტესტი, ნეგატივიზმი, ამბოხი. ეს ბუნტის ასაკია – ამბოხი მშობლების, უფროსების მიმართ. ყველაფრის გადასინჯვა ხდება – რასაც უფროსები, წლების განმავლობაში, შვილის აღზრდაში რუდუნებით დებდნენ, ყველაფერს კითხვის ნიშანი ესმევა. ამ ასაკში თითქოს კარგავენ საკუთარ თავს იმისთვის, რომ თავიდან მოიპოვონ. შესაბამისად, იზრდება ყველა ის რისკი, რაზეც ზემოთ ვისაუბრე. ამას ხელს უწყობს ისიც, რომ მოზარდი ძალიან ინდუცირებადია, ანუ ძალიან შთაგონებადი, იოლად შეიძლება მოექცეს თანატოლის გავლენის ქვეშ. კრიმინოლოგიაში ცნობილია, რომ ჯგუფური დანაშაულებით სწორედ მოზარდები გამოირჩევიან, იმიტომ რომ, მათთვის ყველაზე აქტუალური და მთავარი თანატოლთა წრეში აღიარებაა. სწორედ ამ მიზეზით, ხშირად ისინი სერიოზული სოციალური ზეწოლის, დაკვეთის ქვეშ ექცევიან – უნდა მიიღონ იმ სოციალური ჯგუფის წესები და კანონები, რომელშიც ნებსით თუ უნებლიედ მოხვდნენ. აქედან გამომდინარე, ხშირ შემთხვევაში, უფრო მისაღები და მიმზიდველია, რასაც თანატოლი აკეთებს, ვიდრე ის, რასაც დედა, მამა, მასწავლებელი ან სხვა. მთავარი ავტორიტეტი თანატოლია, ამიტომ იოლად ხდება მოზარდის ინდუცირება. არსებობს ასეთი ფაქტებიც, როცა „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი“ დაიწერა, ახალგაზრდებში თვითმკვლელობებმა იმატა. ხშირად მსგავსი „რომანტიკული მაგალითები“, როცა ცნობილი ადამიანი თვითმკვლელობით ასრულებს ცხოვრებას, სახიფათოა, განსაკუთრებით – მოზარდებისთვის.

– როგორია სკოლის როლი ამ შემთხვევაში? რა დოზით და ფორმით უნდა ჩაერიოს სკოლა თვითმკვლელობის პრევენციაში?

– პრევენციის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება ბავშვთა უფლებების დაცვა და აღიარებაა. ჩვენთან სიცილსაც კი იწვევს ბავშვის უფლებების აღიარებაზე ლაპარაკი. რამდენიმე დღის წინ, ერთ-ერთ დირექტორთან მქონდა საუბარი და ვუთხარი, რომ მასწავლებელმა მოსწავლეების განათლების უფლება დაარღვია. მას ამაზე გაეცინა და არც მომისმინა...

რა წერია ბავშვის უფლებათა კონვენციაში? – ბავშვის ყველა ტიპის საჭიროება სახელმწიფომ და მის გარშემო მყოფმა ადამიანებმა უნდა დააკმაყოფილონ. ეს საჭიროებებია – სასიცოცხლო მოთხოვნილებების უზრუნველყოფა, განათლება, ჯანმრთელობა და ა.შ.; ბავშვის აზრი აუცილებლად უნდა იყოს მოსმენილი და გათვალისწინებული; უფროსებმა ბავშვის შესახებ გადაწყვეტილება აუცილებლად მასთან შეთანხმებით უნდა მიიღონ და ა.შ. თუ ჩვენ ბავშვის უფლებების კონვენციით მინიჭებულ უფლებებს შევასრულებთ, მათ ნაკლები ემოციური პრობლემები ექნებათ. სამწუხაროდ, ჩვენთან ყველაფერი პირიქით ხდება – სკოლაში არავის აინტერესებს, როგორ ახდენს ბავშვი ინტეგრაციას კლასთან, როგორი დამოკიდებულებები უყალიბდება მას, არის თუ არა გარიყული თანატოლებისგან. სამწუხაროდ, ამის დანახვის და შემჩნევის უნარი არავის აქვს ან თუ აქვს, ვერ ხვდება, რა გააკეთოს. მარტოობა ადამიანის ფსიქიკურ ჯანმრთელობას ანგრევს... სკოლებში ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად რჩება ის, რომ ბავშვი არანაირი ძალადობისგან არ არის დაცული როგორც უფროსების, ისე თანატოლების მხრიდან – ესეც სერიოზული რისკ-ფაქტორია.

კონკრეტულ მაგალითებს ვერ მოვიყვან,

სტუმარი

მაგრამ არ შემიძლია არ შევეხო ერთ-ერთ პრობლემას, როცა მასწავლებელმა ვერ შეამჩნია, წლების განმავლობაში, მისი ერთ-ერთი მოსწავლე როგორ იყო იგნორირებული მთელი კლასისგან – მას არავინ ესაალმებოდა. მასწავლებელს, უბრალოდ, არ გაუჩნდა სურვილი, ეს შეეცვალა ან არ ჰქონდა ამის შესაძლებლობა, ცოდნა, უნარი, რომ პრობლემა მოეგვარებინა. ეს ბულინგის ერთ-ერთი გამოხატულებაა. სკოლაში ბულინგის სხვადასხვა ფორმა გვხვდება. როცა რომელიმე მოსწავლეს თანაკლასელები დასცინიან და ის იძულებულია, მათი კეთილგანწყობა მოიპოვოს, თუნდაც იმით, რომ საკუთარი ნივთები გააჩუქოს და ამით თანატოლები მოისყიდოს. როცა მშობლები მოიკითხავენ, რატომ აღარ აქვს მათ შვილს ესა თუ ის ნივთი, აღმოჩნდება რომ ბავშვმა თავისი სურვილით გააჩუქა. თუ შემთხვევას ბოლომდე მიყვები, აღმოჩნდება, რომ ნივთი სწორედ კეთილგანწყობის მოსაპოვებლად გააჩუქა. წარმოიდგინეთ, რამდენად მარტოა ბავშვი, რამდენად ცუდად გრძნობს თავს, რომ ამ ფორმით უწევს ხარკის გაღება. არის შემთხვევები, როცა თანატოლები დასცინიან ბავშვს და ის ყველაზე მეტად იცინის. ამ დროს მასწავლებელი მიიჩნევს, რომ მას ეს მოსწონს. რა თქმა უნდა, ბავშვს არ მოსწონს, ეს იძულებითი სიცილია. როცა მსგავსი შემთხვევების მიმართ მასწავლებელი სენსიტიურია და შეუძლია კარგად გაიაზროს, ბედნიერი გამომეტყველების მიუხედავად (რასაც შინაგანი მდგომარეობის შენიღბვის საშუალებად იყენებს), რას შეიძლება გრძნობდეს ამ დროს ბავშვი, ეს იქნება ბულინგის საუკეთესო პრევენცია.

ემოციური უსაფრთხოების პრობლემა ძალიან სერიოზულად დგას დღეს ქართულ სკოლებში – ბავშვები თავს სკოლაში უსაფრთხოდ არ გრძნობენ. რისი შიში შეიძლება ჰქონდეს ბავშვს სკოლაში? ყველაზე მეტად გამძაფრებულია შიში, რომ არ მიიღოს შეურაცხყოფა როგორც მასწავლებლის, ასევე თანატოლის მხრიდან. ცუდი ნიშნის მიღების შიშზე მეტად, მათ ღირსების შელახვის შიში აქვთ.

– თვითონ ტერმინიც „ემოციური ძალადობა“ ჩვენთან, სულ რამდენიმე წელია, რაც ძალადობის ფორმებს დაემატა...

– ბოლო კვლევამ, რომელიც 2013 წელს ჩაატარა იუნისეფმა, აჩვენა, რომ ემოციური ძალადობის მიმართ ცნობადობა გაიზარდა, მაგრამ მხოლოდ იმის ცოდნა, რომ ემოციური ძალადობა არსებობს, საქმეს არ შველის. დამოკიდებულება უნდა შეიცვალოს, ანუ უნდა ვიცოდეთ, რომ ხშირად ემოციური ძალადობა უფრო საზიანოა, ვიდრე ფიზიკური.

– არის თუ არა სკოლაში ფსიქოლოგის საჭიროება?

– შეიძლება ვერ უზრუნველვყოთ სკოლები ფსიქოლოგებით, ეს დიდი ფუფუნებაა – მატერიალურადაც და შეიძლება არც კი გვყავდეს ამდენი სპეციალისტი. ამ ეტაპზე ჩვენი ამოცანა ალბათ მასწავლებლის გაძლიერება უნდა გახდეს. თუ პედაგოგი იქნება კარგად მომზადებული, აღჭურვილი მოსწავლეებთან ეფექტური და არაძალადობრივი კომუნიკაციის უნარებით – ამასთანავე, გააზრებული ექნება მოზარდობის ასაკის თავისებურებები, მაშინ სკოლაში ნაკლები პრობლემა გვექნება ქცევის მართვის თვალსაზრისით. მოზარდობის ასაკს ხაზი იმიტომ გავუსვი, რომ, როგორც უკვე ვისაუბრე, ამ ასაკში რთულია ტიპურ და რთულ მოზარდს შორის სადემარკაციო ხაზის გავლება, ყველა მოზარდი რთულია და მასწავლებელი მზად უნდა იყოს ამისთვის. აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სკოლისა და ოჯახის თანამშრომლობა და არა ურთიერთმტრობა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა... სკოლას ოჯახთან ერთად უნდა შეეძლოს ტიპური პრობლემების მოგვარება, ფსიქოლოგი იმ შემთხვევაში უნდა ჩაერიოს, როცა გამოკვეთილია ემოციური და ქცევითი სირთულეები.

დღეს რა სისტემაც გვაქვს, წინგადადგმულია ნაბიჯია იმასთან შედარებით, რაც გვქონდა – სკოლის მანდატურის ფუნქცია შეიცვალა და ახლა ის უფრო ბავშვის საჭიროებებზეა ორიენტირებული, ის ახდენს პრობლემების იდენტიფიცირებას და რეფერირებას ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრში, მაგრამ ფაქტია, რომ სკოლას არანაირი საკუთარი მექანიზმი, გარდა გადამისამართებისა არ აქვს, რითაც კრიზისულ სიტუაციებს მოაგვარებს. სკოლა, ტრადიციულად, ორიენტირებულია პრობლემის თავიდან მოშორებაზე. ადრე პრობლემის მოშორებას მოსწავლის სკოლიდან გარიცხვით ცდილობდნენ, ახლა კი პრობლემის მოგვარების სტრატეგია რეფერირებაა. თუმცა, ეს გზა სკოლას ყველა შემთხვევის დროს არ უნდა სჭირდებოდეს და ასევე ის მზად უნდა იყოს კრიზისული შემთხვევების მართვისათვის. სკოლა შიგნიდან უნდა გაძლიერდეს. მულტიდისციპლინურმა გუნდმა – სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა, მანდატურმა, კლასის დამრიგებელმა, ერთად უნდა იფიქრონ, როგორ მოაგვარონ პრობლემა და როგორც აღვნიშნეთ, უმნიშვნელოვანესი პარტნიორი აქ ოჯახი უნდა იყოს. მაგალითად, კონფლიქტი, თვითდაზიანება, სუიციდის მცდელობა და ა. შ. ეს სკოლისთვის სერიოზული კრიზისია. აუცილებელია სკოლას ჰქონდეს კრიზისის მოგვარების გაიდლაინი, ანუ გეგმა, როგორ იქცევა ასეთი შემთხვევის დროს, პირველ რიგში რას აკეთებს; ან როგორ იქცევა კონფლიქტის დროს – თუ სკოლას გააზრებული არ აქვს, რას აკეთებს მსგავს სიტუაციაში, ძალიან რთულია უცებ მიიღოს ეფექტური გადაწყვეტილება. მხოლოდ „გარედან მოსული“ მობილური ჯგუფის მიერ გაწეული დახმარება, რომელშიც ფსიქოლოგი შევა, ან რეფერირების მექანიზმების ამუშავება გამოსავალი არ არის. ასეთ დახმარებამდე სკოლას აუცილებლად თვითონ უნდა ჰქონდეს კრიზისების მართვის სტრატეგია. რატომ ვერ უნდა მოაგვაროს კონფლიქტი სკოლამ საკუთარი რესურსებით? თუმცა, მოგვარებაში, რასაკვირველია, არ იგულისხმება ის, რაც ჩვენს სკოლებში ხდება ხოლმე – კონფლიქტის შემდეგ, ბავშვებს – ბულინგის გამტარებელსა და მსხვერპლს, ჯერ დასჯიან ან დამოძღვრავენ და შემდეგ აიძულებენ ერთმანეთს გადაეხვიონ, ვითომ შერიგდნენ. ამასწინათ ერთ-ერთ სკოლაში პედაგოგმა ბულინგის მსხვერპლს უთხრა, რომ მან უნდა მოითმინოს შეურაცხყოფა, რასაც იღებს თანატოლისგან. ასე მარტივად და ასე არაპროფესიულად ამ საკითხის „მოგვარება“ ყველაზე დიდი შეცდომაა, რამაც შეიძლება პრობლემა კიდევ უფრო გაამძაფროს. ბულინგის მართვა თანამედროვე სკოლების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა, რაც აბსოლუტურად ყველა პედაგოგს უნდა შეეძლოს. პედაგოგების მიერ ბავშვის უფლებების აღიარება და ამ კუთხით სენსიტიურობის გაზრდა, ბულინგის და სუიციდის საუკეთესო პრევენციაა. ასევე, მნიშვნელოვანია, ბავშვებმა თავისი უფლებები იცოდნენ და შეეძლოთ საკუთარი თავის დაცვა. ჩვენი აღზრდის ტრადიცია არ ითვალისწინებს იმას, რომ ბავშვს აზრის გამოხატვის საშუალება მისცე, მისი პოზიცია გაიზიარო. მათ არ ვუსმენთ. შესაბამისად, ბავშვებმა არ იციან, როგორ დაიცვან საკუთარი უფლებები. არ იციან, როგორ მოიქცნენ, როცა მასწავლებელი ან თანატოლი მათზე ძალადობს, სამაგიეროდ, იციან ერთი „საშინელება“, რაც არ უნდა მოხდეს, არ უნდა „ჩაუშვან“, რაც ჩემი აზრით, კრიმინალური ცნობიერების გამოხატულებაა. ზოგჯერ ოჯახში მშობელი ასწავლის, რომ არ დააბეზღოს თანატოლი, სკოლაში მასწავლებელიც ეუბნება, რომ ენა არ მიუტანოს, თავად მოაგვაროს... თანატოლები გარიყავენ თუ ასე მოიქცევა და ა. შ. ასეთი ცნობიერების ჩამოყალიბება ერთ-ერთი ფუნდამენტური შეცდომაა, რასაც სერიოზული მიხედვა სჭირდება.

ბულინგთან დაკავშირებით არსებობს მითები: „ბავშვები არიან და მორიგდებიან“, „ერთი-ორი ყბაში უნდა მოხვდეს“, რომ გაძლიერდეს – ამ სტერეოტიპებს დამსხვრევა სჭირდება. ძალადობა არ აძლიერებს, პირიქით, ანგრევს და ეს უნდა გავიაზროთ. ზოგადად, საზოგადოება ბავშვზე ორიენტირებული უნდა გახდეს, თუმცა ამასაც სწორად გაგება სჭირდება. ბავშვზე ორიენტირებული არ ნიშნავს იმას, რომ მას საკუთარი თავის რეალიზებისა და აღმოჩენის საშუალება არ მისცე – შენი ხელით აჭმევ, შენ უკრავ თასმებს, შენ იღებ მის მაგივრად გადაწყვეტილებას და თან ფიქრობ, რომ ამას მის სასარგებლოდ აკეთებ. ბავშვზე ორიენტირებულობა ნიშნავს იმას, რომ უფროსი ადამიანი არის ბავშვის მხარდამჭერი და მისი აზრის მომსმენი. სამწუხაროდ, ჩვენთან ძალიან მოძველებული, არაჰუმანური, პროკრუსტეს სარეცელზე მოჭრილი აღზრდის პრინციპები მოქმედებს და გვინდა, რომ ბავშვი მას მოვარგოთ.

– რამდენად განაპირობებს საზოგადოებრივი გულგრილობა სუიციდის სტატისტიკის მატებას?

– საზოგადოება არ იჩენს გულგრილობას მაშინ, როცა ძალიან ინტერესდება შენი პერსონით, როდესაც რაღაცას ისე არ აკეთებ, როგორც ამ საზოგადოებაშია მიღებული, ანუ პროკრუსტეს სარეცელზე უარს ამბობ და მის თარგზე არა ხარ მოჭრილი. ასეთ შემთხვევაში, პირიქით, საზოგადოება შენ მიმართ ძალიან დიდ ყურადღებას და ინტერესს იჩენს. მეტიც, იარლიყს გაწებებს, სტიგმატიზაციას ახდენს, ჭორებს გივრცელებს, გრიყავს და ა.შ. მაგრამ მაშინ, როდესაც რაიმე პრობლემის წინაშე დგები და შეიძლება ამ პრობლემის შესახებ პატარა სიგნალსაც აწვდი საზოგადოებას (ადამიანი, სანამ სუიციდს განიზრახავს, აუცილებლად აკეთებს რაღაც მინიშნებას), ის დუმს – ვერ ხედავს, არ აინტერესებს, მიიჩნევს, რომ მისი საქმე არ არის. ჩემი აზრით, უბედურებაა თუნდაც ის, რომ შეიძლება დეტალურად ვიცოდეთ ჩვენი მეზობელი მამაკაცი დღეს რა მიზეზის გამო ეჩხუბა მეუღლეს, რა სიტყვებით მიაყენა შეურაცხყოფა, ამაზე ყურადღება გვქონდეს გამახვილებული, მაგრამ ეს ყველაფერი, საინტერესოა როგორც ამბავი, საჭორაო მასალა, თუმცა, არაფრით არ გავაკეთებთ ამაზე შეტყობინებას. ანუ იქ, სადაც ადამიანს შეიძლება ხელი გაუმართო და დაეხმარო, იჩენ გულგრილობას და იქ, სადაც ადამიანის პირადი სივრცეა, უაპელაციოდ და თავდაუზოგავად იჭრები, ახდენ სტიგმატიზაციას და რიყავ მას. რამდენი ქალი ან ბავშვი ჯერ კიდევ რჩება ძალადობის მსხვერპლად, ჯერ კიდევ რამდენი ქალი იტანს სისასტიკეს იმის გამო, რომ საზოგადოებაა გულგრილი. ამოვიღოთ ხმა, როცა ძალადობას ვხედავთ, არ ვიფიქროთ, რომ ეს სხვისი შვილია და მშობელი რასაც უნდა იმას უზამს – ამ სტერეოტიპებისგან თუ განვთავისუფლდებით, ეს საუკეთესო პრევენცია იქნება.

– 10 სექტემბერს მსოფლიო თვითმკვლელობის პრევენციის დღეს აღნიშნავს. ამ დღეს სამყარო ცდილობს სუიციდის უდიდესი პრობლემის გააზრებას და მისგან თავის დაღწევის გზების დასახვას. ადამიანები მაჯაზე იწერენ სიტყვას „LOVE“, რაც თანაგრძნობის გამომხატველი ნიშანია იმ ადამიანების მიმართ, ვისაც ოდესმე სუიციდი უცდია. საქართველოც აღნიშნავს ამ დღეს, ვინ არის ჩართული ამ აქტივობაში და რა მასშტაბით აღინიშნება 10 სექტემბერი საქართველოში?

– ამ დღეს ადამიანებმა უფრო მეტი უნდა ისაუბრონ ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, პრევენციაზე, ვიდრე ფაქტებზე. ასეც არის. ჩვენს ქვეყანაშიც აღინიშნება ეს დღე, ვიწრო წრეში, კონფერენციით, შეხვედრებით. მაგრამ ჯერ-ჯერობით ფართო მასშტაბით ამ დღის აღნიშვნა არ ხდება. როცა 10 სექტემბერზეა საუბარი, მე პირადად, ვისურვებდი, ამ დღეს მეტი ვისაუბროთ სიყვარულზე, თანადგომაზე, იმაზე, რომ ადამიანი, რომელიც რაღაცით მიგვანიშნებს სუიციდის მცდელობაზე, არ დავტოვოთ მარტო, არ შეგვეშინდეს მასთან საუბრის, არ ვიფიქროთ, რომ სხვისი ჭირი ღობეს ჩხირია. თითოეულ ჩვენგანს უნდა ჰქონდეს იმის განცდა, რწმენა და, რაც მთავარია, ცოდნა, რომ მას შეუძლია ძალიან მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს სუიციდისაგან ადამიანის დახსნაში.

ერთადერთი, რაც მშობლებს მინდა ვუთხრა არის ის, რომ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მიიღონ, თუკი მათ შვილს რაიმე ტიპის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა აქვს. მშობელი უნდა თანამშრომლობდეს ფსიქიკური ჯანმრთელობის სპეციალისტთან, ერთი მხრივ, ის უნდა იღებდეს საჭირო და მნიშვნელოვან ინფორმაციას შვილის მდგომარეობის შესახებ და, მეორე მხრივ, უნდა ასრულებდეს რეკომენდაციებს, რადგან, ფაქტობრივად, მშობელი მართავს ამ პროცესს. რაც უნდა წარმატებული იყოს თერაპიული პროცესი, რომელიც პროფესიონალმა ჩაატარა ბავშვთან, თუკი ის ისევ ბრუნდება გარემოში, სადაც არაფერი შეცვლილა – დამოკიდებულებები მის მიმართ და სადაც არ იციან როგორ იურთიერთონ მასთან, რა თქმა უნდა, რისკი ისევ რისკად დარჩება.

ესაუბრა **ლალი ჯელაძე**

ინფორმაცია

გზების უსაფრთხოება იწყება შენით!

6 ოქტომბერს, „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში“, საგზაო უსაფრთხოების საკითხებზე გაიმართა ღონისძიება, რომლის ფარგლებშიც, საჯარო დისკუსია შედგა საგზაო უსაფრთხოების საჭიროების შესახებ – რატომ არის მნიშვნელოვანი საზოგადოებისთვის საგზაო უსაფრთხოების მენეჯმენტის გაუმჯობესება? რომელია რისკჯგუფები? რა პრევენციული გზები არსებობს? როგორ უნდა მოხდეს საგანმანათლებლო პროგრამებში ინტეგრაცია, უსაფრთხო ტრანსპორტი, ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება, ინკლუზიური პროგრამები და ამ თემებთან დაკავშირებული უცხოური გამოცდილება.

ქართველი და უცხოელი სტუმრები IBSU-ს რექტორმა, **ილიას ჩილოღლუმ** მიიღო და მომავალი თანამშრომლობის გაღრმავებაზე შეთანხმდნენ. ამის შემდგომ, აუდიტორიის წინაშე პრეზენტაცია **ქეით მაკჰანონი** და **ემა მაკლენანი** წარდგნენ. ქეით მაკჰანონი (დიდი ბრიტანეთის სამეფოს ღირსების ორდენოსანი – Most Excellent Order of the British Empire) გზების უსაფრთხოების საკითხებზე 1986 წლიდან მუშაობს, ხოლო ემა მაკლენანი „აღმოსავლეთ ევროპის ალიანსი უსაფრთხო და მდგრადი ტრანსპორტისთვის“ (Eastern Alliance of Safe and Sustainable Transport — EASST) დირექტორია.

ქეით მაკჰანონი: *„მსოფლიოში, ყოველწლიურად, საგზაო შემთხვევების შედეგად, 1.3 მილიონი ადამიანი იღუპება, ხოლო 20-50 მილიონი შავდება. უმოქმედობის შემთხვევაში, ეს რიცხვი, 2020 წლისთვის, 1.9 მილიონს მიაღწევს. სიკვდილიანობის ასაკი, უმეტეს შემთხვევაში, 15-29 წლამდე მერყეობს. ყოველდღიურად, 25-წლამდე 1000 ადამიანი სწორედ სატრანსპორტო კოლაფსისას იღუპება.“* აღინიშნა, ასევე, რომ გზების უსაფრთხოება კომპლექსური საკითხია და მათ შორის მოიცავს: გზისა და ავტომობილის წესრიგში ყოფნას, მძღოლის პასუხისმგებლობას, გადაუდებელი სამსახურის გამართულ მუშაობას და ა.შ.

ემა მაკლენანმა მისი ორგანიზაციის – EASST – შესახებ ისაუბრა, რეგიონული თანამშრომლობის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება და სხვა ქვეყნების კარგი კამპანიების მაგალითები წარმოგვიდგინა. საუბარი შეეხო, ასევე, სპეციალური საჭიროების მქონე ადამიანებისთვის შესაბამისი პირობების შექმნის აუცილებლობას.

ფონდის „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის“ დამფუძნებელი **გელა კვაშილავა**, სხვა თემებთან ერთად, ახალ ინიციატივას შეეხო, რომელიც საგზაო „ზებრასთან“ დაკავშირებით კამპანიის წამოწყებას გულისხმობს.

აღსანიშნავია, რომ IBSU-ში საგზაო უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე კლუბი ჩამოყალიბდა, რომელშიც უამრავი სტუდენტი გაწევრიანდა.

საჯარო ლექცია კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. სტუდენტებმა მათთვის საინტერესო კითხვებზე უშუალოდ დარგის სპეციალისტებისგან მოისმინეს პასუხები.

ზურაბ ვახანია

მათემატიკა (დაწყებითი საფეხური)

მათემატიკისა და წიგნიერების ინტერდისციპლინური (საგანთაშორისი) სწავლება

როგორ ვასწავლოთ მათემატიკური ტექსტის გააზრება

მათემატიკის (ისევე როგორც სხვა აკადემიური საგნების) სწავლის გაძნელების ერთ-ერთი მიზეზია წიგნიერების უნარ-ჩვევათა სისუსტე, კერძოდ, ტექსტის წაკითხვისა და გააზრების სიძნელე. საზოგადოდ, სკოლის მრავალ მიზანთა შორის ერთ-ერთი უპირველესი სწორედ ესაა – **წიგნიერების** უნარ-ჩვევათა განვითარება და გაძლიერება.

კითხვის უნარის შინაგანად განპირობებული დაქვეითება შეიძლება აღმოაჩნდეს ბავშვების, დაახლოებით, 10-15%-ს. მათგან ზოგიერთი გონებრივად საშუალოზე მაღალი განვითარებისაც კია. კითხვა კი მაინც ძალიან უჭირთ. წაკითხვის უნარის შინაგანი ჩამორჩენა ხშირად დაკავშირებულია ნებელობით (და არა გონებრივ) უნართა განვითარების ჩამორჩენასთან. საზოგადოდაც, სწავლაში ნებელობითი მონაცემები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე გონებრივი. მხოლოდ გონების გამჭრიახობა, მიხვედრილობა და კარგი ამთვისებლობა არაა საკმარისი! ეს უნდა განვუმარტოთ მშობლებსაც. ყველა მოსწავლემ გააკეთოს იმდენი, რამდენსაც შეძლებს **ზომიერი ძალისხმევით**, დიდი დაძაბვისა და წვალების გარეშე. მაგრამ **არც მთლად დაუძაბავად**. მთავარია ზომიერების, „ოქროს შუალედის“ **ინდივიდუალურად** მოძებნა და წონასწორობის შენარჩუნება. შემდეგ კი მასწავლებელიცა და მშობელიც, მათდა გასაკვირად, ხშირად აღმოაჩენენ, რომ საშუალო მოსწავლესაც კი არც ისე გაუჭირდება, ერთი შეხედვით, ძნელი და დიდი დავალების შესრულება...

გარდა ამისა, ბევრ მოსწავლეს კითხვა უჭირს არა შინაგან მიზეზთა გამო, არამედ კითხვის ცუდად სწავლების გამო. და კიდევ: წერა-კითხვისა და, საზოგადოდ, ენობრივ-გონებრივ უნართა დაუძინებელი მტერია კომპიუტერისა თუ ტელევიზორის ეკრანი. ამის გამო მრავლადაა კლასები, სადაც მოსწავლეთა 30-40% ვერ კითხულობს წესიერად, წაკითხულის გააზრებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

1) III კლასი იქნება თუ IX, მასწავლებელმა, პირველ რიგში, უნდა შეამოწმოს მოსწავლეთა კითხვის უნარი: გადააშლევინოს მათემატიკის სახელმძღვანელო რომელიმე ახალ გაკვეთილზე და დაავალოს ტექსტის ხმამაღლა წაკითხვა, რიგ-რიგობით. უცებ გამოჩნდება, რომელ მოსწავლეებს უჭირთ კითხვა და კერძოდ რა უჭირთ. მასწავლებელმა უნდა ჩაიწეროს კონკრეტული შედეგები და დაგეგმოს შემდგომი მუშაობა.

2) მეორე საფეხურია ამოკითხვის სიზუსტეზე მუშაობა – ყველა ასო ზუსტად და მკაფიოდ რომ ამოიკითხოს. მოსწავლეთა და ზრდასრულთა უმრავლესობას ერთმანეთში ერევა მსგავსი ბგერითი შემადგენლობის მქონე სიტყვები, მაგალითად:

ერთ-ერთი\ერთადერთი მართებული\მართობული
გაზიარება\გააზრება გამკეთებელი\გაკეთებული
მიუწვევია\მიუღწევია

3) მესამე საფეხურია სასვენი ნიშნების ამოკითხვა. მათ, თითქმის, სრულიად უგულებელყოფენ როგორც კითხვის, ისე წერის დროს. განსაკუთრებით იჩაგრება მძიმე, ორწერტილი და ტირე – სწორედ ის სასვენი ნიშნები, რომლებიც გადამწყვეტია აზრის ლოგიკისათვის. ამიტომ, ტექსტის წაკითხვისას, მოსწავლე უნდა მიეჩვიოს სასვენი ნიშნების გაცნობიერებას, რაც კითხვისას მცირე შეჩერებებით (აზრობრივი პაუზებით) უნდა გამოვლინდეს. სასვენი ნიშნები ტექსტში ტყუილად არ წერია, მათ ჯეროვანი ყურადღების მიქცევა სჭირდება!

4) მეოთხე საფეხური ყველაზე მნიშვნელოვანია – წაკითხულის გააზრება. ეს ტექსტის წაკითხვისას მართებული აზრობრივი აქცენტებით უნდა გამოვლინდეს. არაფრად არ ვარგა თუნდაც ზუსტი, მაგრამ მექანიკურ-მონოტონური წაკითხვა. მხატვრული ტექსტების წაკითხვისას, ძირითადად, მხატვრულ-გრძნობითი აქცენტებია საჭირო, სამეცნიერო ტექსტების წაკითხვისას კი – ლოგიკურ-აზრობრივი აქცენტები. მახვილი უნდა დაესვას იმ სიტყვას, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანი და არსებითია ლოგიკური შინაარსის მხრივ.

არასდროს არ წავიკითხოთ მხოლოდ სიტყვები. წაკითხვისას თან ყველაფერი წარმოვიდგინოთ, ერთმანეთთან დავაკავშიროთ, გავიაზროთ.
ცარიელი სიტყვების ამოკითხვას აზრი არა აქვს!

5) ამის გარდა, კარგია პაუზებით კითხვა და მოსწავლეთა მიერ ერთმანეთის წაკითხულის გაგრძელება.

ამგვარი სავარჯიშოებისთვის საუკეთესოა გაკვეთილები, რომლებიც მათემატიკის ისტორიის საკითხებზეა ანდა ყოველგვარი გრძელი ტექსტები.

6) წაკითხულის გააზრების სავარჯიშოების კეთებისას მოსწავლეს თვალწინ უნდა ჰქონდეს მათემატიკის სახელმძღვანელოს ტექსტი, მასწავლებელმა კი დაუსვას შეკითხვები ამ ტექსტიდან, რათა გაირკვეს, რამდენად გაიგო მოსწავლემ წაკითხულის შინაარსი. უნდა დაისვას არა მხოლოდ პირდაპირი, არამედ არაპირდაპირი შეკითხვებიც. ცხადია, მასწავლებელმა უნდა მოითხოვოს ზუსტი და გამართული, სრული პასუხები.

საამისოდ, ხანდახან მაინც, გაკვეთილზე უნდა დაიტოვოს საგანგებო დრო, 5-10 წუთი.

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს განვლილი გაკვეთილის თეორიული ტექსტის შესახებ, თუ რა აზრი გამოიტანეს ამ ტექსტის პირველი აბზაციდან, მეორე აბზაციდან და ა.შ. – მოსწავლეები პასუხობენ ადგილიდან, მასწავლებელი ითხოვს წინადადების სრულად და ზუსტად ჩამოყალიბებას, ამეორებინებს ამ წინადადებას, სანამ მოსწავლე კარგად არ გამართავს მას. თუკი მოსწავლემ დააკლო რაიმე სიტყვა, ამ ხარვეზს სხვა მოსწავლეებს გამოავლენინებს. მაგალითად, მოსწავლემ დააკლო სიტყვა „ყოველი“, ან „მხოლოდ“, ან „ერთადერთი“ – მასწავლებელი სხვა მოსწავლეებს დაავალებს, მოიგონონ ისეთი მაგალითი, რომელიც დაამტკიცებს, რომ ამ სიტყვების დაკლება არ შეიძლებოდა, რადგან მათ გარეშე წინადადება მცდარი ხდება და ა.შ. მომდევნო კლასებში ემატება კიდევ ერთი სახის სამუშაოც: განვლილი გაკვეთილიდან რაიმე საკითხის დამტკიცება: მოსწავლე გამოდის დაფასთან და მსჯელობს, მასწავლებელი ითხოვს უნაკლოდ გამართულ წინადადებებს.

7) მასწავლებელმა უნდა ჩაატაროს ამოცანის პირობის გააზრების სავარჯიშოები (დაწყებული II-III კლასებიდან). მოსწავლემ წაიკითხოს რომელიმე დიდტექსტიანი ახალი ამოცანა (რომლის ამოხსნა სულ არ გვაინტერესებს!) და შემდეგ ჩამოაყალიბოს ცალ-ცალკე: რა არის **მოცემული** ამ ამოცანის პირობით და რას **გვეკითხება** ან რას **გვავალებს** ამოცანა.

8) მომდევნო საფეხურზე კი ეს უკვე წერილობით-სქემატურად უნდა ჩამოყალიბდეს.

მათემატიკის პროგრამაში წინსვლა, ცხადია, შენელდება. მაგრამ მათემატიკაზე გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია წაკითხვისა და გააზრების უნართა განვითარება, რაც მთელი წიგნიერების საფუძველია. ძალიან სასურველია, რომ ამგვარი მუშაობა, პარალელურად, ქართულისა და სხვა საგნების გაკვეთილებზეც მიმდინარეობდეს.

შეიძლება, ზოგიერთ მოსწავლეს თითქმის არ შეეტყოს გაუმჯობესება. სავარაუდოდ, შინაგან მიზეზთა გამო, მას უჭირს კითხვა. რით შეიძლება შველა – ჯერჯერობით მსოფლიო მეცნიერებაშიც კი გადაუჭრელი საკითხია. მასწავლებელმა ეს უნდა იცოდეს და ასეთ მოსწავლესთან სხვაგვარი, ინდივიდუალური მიდგომა მოძებნოს. დანარჩენ მოსწავლეებს კი მეტ-ნაკლები ტემპით და მეტ-ნაკლები ხარისხით განუვითარდებათ უნარი, რომელიც მთელი სასკოლო სწავლებისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია – ტექსტის წაკითხვისა და მისი გააზრებისა. ამის შემდეგ მათემატიკის გააზრებული სწავლა თვითონ იქნება ამ უნარის შემდგომი შეუნელებელი განვითარების საუკეთესო საშუალება!

მათემატიკისა და წიგნიერების ინტერდისციპლინური სწავლების უმაღლესი დონის თემაა **პრაქტიკული ლოგიკის საწყისები**. იგი საუკეთესოდ ავითარებს აზროვნებას, ხელს უწყობს სხვა სასკოლო დარგების გააზრებულად სწავლას და შესაბამისად – ზოგად უნართა ტესტების წარმატებით ჩაბარებას.

სიტყვიერი ჩამოყალიბებისა და მსჯელობის უნარის განვითარება

კლასიკურმა პედაგოგიკამ აღიარა: **სადაც არაა თვალსაჩინოება – იქ უაზრო ზეპირობა და სქოლასტიკაა!** (10-12 წლამდე მაინც).

XX საუკუნის ფსიქოლოგიამ (ლ. ვიგოტსკი, დ. უზნაძე, ლ. ვაისბერგერი) დაუმატა: **სადაც არაა ზეპირი მეტყველება – იქ უაზრო ზეპირობა და სქოლასტიკაა!** აზროვნების მთავარი ფორმა მეტყველებაა, თანაც ასეთი თანმიმდევრობით:

ხმამაღლა მეტყველება → ბუტბუტით მეტყველება → → ჩუმად მეტყველება – გონებაში ან წერილობით.

ამ თანმიმდევრობას არღვევს, მაგალითად, წერის ნაადრევად დაწყება და I კლასის მათემატიკის გათანაბრება ციფრების წერასთან; ანდა ბავშვის ჩათრევა კომპიუტერისა თუ ტელევიზორის ეკრანის მიერ; გაკვეთილებზე „ხმაურის“ აღკვეთა და გასუსულ მოსწავლეთა მიერ მასწავლებლის სმენა..

აზროვნების განვითარებას დაწყებით კლასებში ეყრება ან ეცლება საფუძველი. ნამდვილი ზეპირი მეტყველება – ესაა **საკუთარ გონებაში დაბადებული გავრცობილი წინადადების ჩამოყალიბება** – და არა წინადადების ნაწყვეტებისა თუ სიტყვების თქმა; და არა – წინასწარ გაზეპირებულ-დამახსოვრებულის გამეორება.

ჯობია, მოსწავლემ მცდარად გაასიტყვოს საკუთარი აზრი, ვიდრე – უშეცდომოდ გაიმეოროს სხვისი. ბუნებრივია, რომ ბავშვი რაიმეს დააკლებს ან არაზუსტად იტყვის – მთავარია, ის საკუთარ აზრს აყალიბებდეს და არა გაზეპირებულს.

კერძოდ მათემატიკის სწავლისას მასწავლებელსაც და მოსწავლეებსაც მყარ ჩვევაში უნდა ჰქონდეთ ხმამაღლა ჩამოყალიბება იმისა, თუ რას ვაკეთებთ და რატომ, რისთვის ვაკეთებთ სწორედ ასე, როგორ მივდივართ მართებულ პასუხამდე. მაგალითად: *„ეს სამიანი ათეულთა რაოდენობაა, ამიტომ უნდა მივუწეროთ აქ; მივუწერე. მაგრამ მაშინ ეს ათს გადააჭარბებს; რა ვქნათ? დავიმახსოვრებ, და რომ არ დამავიწყდეს, აქ მოვნიშნავ...“ „რა გვაქვს მოცემული ამ ამოცანაში?... ...რას გვეკითხება ამოცანა?... ...ჯერ რა გავიგოთ? არა, მოქმედებას კი ნუ ასრულებ, ჯერ ის ჩამოაყალიბე, თუ რისთვის ასრულებ ამ მოქმედებას, ჯერ შეკითხვა ჩამოაყალიბე!...“*

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ დაწყებითი სკოლის მოსწავლეებს თავიდანვე არ უნდა მოვთხოვოთ მოქმედებათა შესრულების წესების ან გეომეტრიულ განსაზღვრებათა სიტყვიერად ჩამოყალიბება – თუნდაც არა ზეპირად, არამედ საკუთარი სიტყვებითაც კი! *(„იმისათვის, რათა... საჭიროა რომ...“,* ანდა *„...ეწოდება ისეთ...“).* მათ უნდა მოეთხოვებოდეთ მხოლოდ შესაბამის მოქმედებათა კარგად ფლობა და ნაკვთების ცნობა. ხოლო სიტყვიერი მსჯელობა თანდათან უნდა განვითარდეს. იგი უნდა ეფუძნებოდეს მოსწავლის დამოუკიდებელ აზროვნებას და არავითარ შემთხვევაში – გაზეპირებას! ამ წლოვანების ბავშვის გონება ჯერ არაა მომწიფებული საიმისოდ, რათა აზრიანად გამოთქვას სიტყვებით რაიმე განყენებული მათემატიკური შინაარსი და ამიტომ ბავშვს ერთადერთი საშუალება რჩება – გაზეპირება (ეს კი მათემატიკისათვის ძალიან მავნებელია, გაზეპირება ლექსებისა და ანდაზების ჯობია).

ცნებების განსაზღვრებათა, მსჯელობათა თუ თეორემათა სიტყვიერად ჩამოყალიბება მოსწავლეებს უნდა მოეთხოვებოდეთ მხოლოდ მას შემდეგ, რაც გადავლენ III-V კლასში და, რაც მთავარია, საგანგებო ამოცანების დახმარებით ისწავლიან ამას და გაიწაფებიან. თანაც, ყოველგვარი სიტყვიერი ჩამოყალიბება უნდა იყოს არა გაზეპირებაზე დამყარებული, არამედ აუცილებლად საკუთარი სიტყვებით, აზრიანად.

ზრდასრულ ადამიანსაც კი გაცილებით უფრო ეადვილება ცნებისა თუ მოქმედების აქტიური დაუფლება, ვიდრე სათანადო სიტყვიერი მსჯელობისა თუ განსაზღვრების ჩამოყალიბება. მით უმეტეს ასეა ბავშვისათვის!

ზუსტი სიტყვიერი ჩამოყალიბება – ძალიან საჭირო და ნამდვილად განსავითარებელი უნარია. მაგრამ ეს უნარი თვითონაა მიზანი, თვითონ საჭიროებს აღმოცენებასა და განვითარებას – და ამიტომ დაწყებით კლასებში ის ვერაფრით ვერ გამოდგება სხვა რამის (მათემატიკის სწავლის) საყრდენად!

„წესების“ გაზეპირებაზე საბოლოოდ უნდა ვთქვათ უარი!

ზეპირობისას ვერც ის უნარი ვითარდება და ვერც მათემატიკის შესწავლა ხდება. ეს ტრადიციული მეთოდიკის ერთ-ერთი უმთავრესი ნაკლია (სხვა რამდენიმეს შორის). ტრადიციული „გაკვეთილის ახსნა“ თითქმის უნაყოფოა, რადგან, ძირითადად, მეხსიერებას მიემართება. ასევე, უნაყოფოა ტრადიციული „გაკვეთილის თხრობაც“, რადგან, ძირითადად, მეხსიერებას ემყარება და არა აზრის გასიტყვებას. ე.ი. შესაძლოა, მოსწავლე სხაპასხუპით ჰყვებოდეს გაკვეთილის ტექსტს, მაგრამ ბევრი არაფერი ესმოდეს (რასაც უცებ აჩვენებს მოსწავლის უმწეობა ადვილი სააზროვნო ამოცანის წინაშე). ზოგჯერ კი, განსაკუთრებით დაწყებით კლასებში, პირიქით ხდება: შესაძლოა, მოსწავლემ კარგად იცის განვლილი გაკვეთილის საკითხები (რაც იმაში ვლინდება, რომ ამ საკითხებს კარგად იყენებს სათანადო ამოცანების ამოხსნისას), მაგრამ სიტყვიერად ვერ აყალიბებს გამართულად. ამ ორი უკიდურესობიდან მეორე გაცილებით უკეთესია, მაგრამ კიდევ უკეთესია სრულფასოვანი ცოდნა – თან აქტიური და თან სიტყვიერად ჩამოყალიბებადი.

მსჯელობის უნარის განვითარება უნდა მოხდეს დაფასთან ზეპირი მსჯელობისას და საკონტროლო წერაზე სამსჯელო ამოცანების ამოხსნის დროს. არაა საკმარისი ამოცანის მხოლოდ ამოხსნა ანდა თეორემის დამტკიცება, საჭიროა კარგად გამართული მსჯელობაც. ამაზე მასწავლებელმა საგანგებოდ უნდა იმუშაოს – ე.ი. უნდა შეასწოროს, ჩაასწოროს, შეავსოს, გამართოს, დახვეწოს მოსწავლის ზეპირი თუ წერილობითი ტექსტები. მაგრამ მხოლოდ შესწორება და შეცდომის გაცნობიერება არაა საკმარისი, მოსწავლემ აუცილებლად თავიდან უნდა გაიმეოროს (ზეპირად ჩამოაყალიბოს ან გადაწეროს) შესწორებულ-დახვეწილი სრული ტექსტი.

სწორედ ამგვარი მუშაობით ვითარდება გონებრივი უნარები და აზროვნება. სწორედ ესაა მთავარი და არა ლექსისა თუ გრამატიკული წესის გაზეპირება, ფორმულის დამახსოვრება, დამტკიცების დამახსოვრება, მეორე დღეს მოყოლა და გამოთვლა-გარდაქმნების სხაპასხუპით კეთება. მთავარია არა პროგრამის გავლა, არამედ მოსწავლის გონების გამდიდრება და განვითარება, მისი შემძლეობის, ხელწიფების ამაღლება.

საკლასო ვარჯიშის გარდა, საჭიროა ლოგიკური ამოცანებიც (იქნება ცალკე სტატიაში).

თანდართული ამოცანები

1. მათემატიკური ტექსტის გააზრების შემდეგი სახის სავარჯიშოები დაალაგეთ მართებული თანმიმდევრობით:

I. ტექსტის ხმამაღლა წაკითხვისას სასვენი ნიშნების გაცნობიერება და მათი გამოხატვა აზრობრივი პაუზებით;

II. უცნობი მათემატიკური ტექსტის წაკითხვა სათანადო კლასის სახელმძღვანელოდან;

III. ხმამაღლა წაკითხული ტექსტის აზრის გაგების გამოხატვა მართებული აზრობრივი მახვილებით;

IV. მუშაობა ტექსტის სიტყვების ზუსტად ამოკითხვაზე;

V. ტექსტის გასააზრებელ პირდაპირ და არაპირდაპირ შეკითხვებზე პასუხის გაცემა (როცა ტექსტი თვალწინაა).

სწორი პასუხია – II, IV, I, III, V

2. გიორგი მათემატიკას კარგად სწავლობს, მაგრამ არ უყვარს და უჭირს ტექსტის წაკითხვა. რამდენიმე წინადადების წაკითხვის დროსაც კი ცდილობს, მიაფუჩეჩოს. არც ლაპარაკი და არც წერა უყვარს – ცდილობს, რაც შეიძლება მოკლედ და მშრალად ჩამოაყალიბოს სათქმელი. ინდივიდუალური მიდგომისა და დიფერენცირებული სწავლების პრინციპების

პედაგოგთა დასახმარებლად

გათვალისწინებით, რომელია შემდეგთაგან ყველაზე მართებული მიდგომა გიორგისადმი?

ა) გიორგის ვთხოვოთ, შედარებით ძნელი საკითხები აუხსნას ხოლმე ამირანს, რომელსაც მათემატიკა ძალიან უჭირს;

ბ) თავიდან გიორგი წყვილად ვამუშაოთ თინიკოსთან ერთად, რომელსაც ენობრივი უნარები აქვს ძლიერი, ხოლო რიცხვები უჭირს; შემდეგ თანდათან მოვუმატოთ გიორგის ტექსტებიანი დავალებები;

გ) რაკი გიორგი მათემატიკაში ისედაც ძლიერია, აღარაა საჭირო მისი გაწვალება ტექსტების წაკითხვით – გიორგის, ძირითადად, წმინდად მათემატიკური ძნელი ამოცანების ამოხსნა დავავალოთ ხოლმე;

დ) ნუღა დავაყოვნებთ და დროზე დავიწყოთ: გიორგი გაძლიერებულად ვავარჯიშოთ ტექსტების წაკითხვასა და მათი შინაარსის წერილობით ჩამოყალიბებაში.

სწორი პასუხია – (ბ)

3. შემდეგთაგან რომელი დასკვნა გამომდინარეობს ამ ორი წინადადების შეჯერებიდან?

ტრადიციული სასკოლო თუ სარეპეტიტორო სწავლება სქოლასტიკურია, ანუ მისი არსია დაზეპირება და ხელოვნური მანიპულაციები; ეს კი, საუკეთესო შემთხვევაშიც კი, ძირითადად, პასიურ და ზერელე, უსარგებლო ცოდნას იძლევა.

როგორც მეცნიერებისათვის, ისე პრაქტიკული საჭიროებისათვის მხოლოდ ისეთი ცოდნა თუ გამოდგება, რომელიც ცოცხალი, აქტიური და ღრმად გააზრებულია.

ა) არატრადიციული სასკოლო თუ სარეპეტიტორო სწავლების შედეგად მიღებული ცოდნა, საუკეთესო შემთხვევებში მაინც, გამოსადეგია მეცნიერებისათვისაც და პრაქტიკული საჭიროებისთვისაც.

ბ) ტრადიციული სასკოლო თუ სარეპეტიტორო სწავლების შედეგად მიღებული მთელი ცოდნა, საუკეთესო შემთხვევათა გარდა, გამოუსადეგარია როგორც მეცნიერებისათვის, ისე პრაქტიკული საჭიროებისათვის.

გ) ტრადიციული სასკოლო თუ სარეპეტიტორო სწავლების შედეგად მიღებული ცოდნის ძირითადი ნაწილი, საუკეთესო შემთხვევაშიც კი, გამოუსადეგარია მეცნიერებისათვისაც და პრაქტიკული საჭიროებისათვისაც.

დ) ტრადიციული სასკოლო თუ სარეპეტიტორო სწავლების შედეგად მიღებული ცოდნა, საუკეთესო შემთხვევათა გარდა, გამოუსადეგარია ან მეცნიერებისათვის, ან პრაქტიკული საჭიროებისათვის.

სწორი პასუხია – (გ)

4. მოსწავლეს უნდა შეესრულებინა დავალება:



ნახაზზე გამოსახულია ფიცრებისგან გაკეთებული მესერი, 2-კარიანი ჭიშკარი და ხე.

შეადგინეთ, ჩაწერეთ და ამოხსენით ამოცანა, რომელიც ამოიხსნება მოქმედებებით:

I. 15სმ + 10·20სმ + 2·50სმ + 3·20სმ;

II. 2მ : 10.

გამართულად ჩამოაყალიბეთ ამოცანის სრული ტექსტი.

5. ვთქვათ, მოსწავლემ შეადგინა ამოცანა და ჩამოაყალიბა მისი შეკითხვა: *„რა მანძილია ხიდან მესერის ბოლო ფიცრამდე?“*. შემდეგთაგან ყველაზე უკეთ რომელი გვიჩვენებს ამის ნაკლს?

ა) ამ შეკითხვის შესაბამისი ამოცანა ზედმეტად გართულებული გამოვა, რაც არასასურველია;

ბ) შეკითხვა არსებითად მართებულადაა ჩამოყალიბებული, თუმცა სასურველია მისი ენობრივი დახვეწა;

გ) ამ შეკითხვის პასუხი გამოვა 20სმ-ით მეტი, ვიდრე საჭიროა;

დ) ამ შეკითხვის პასუხი გამოვა 20სმ-ით ნაკლები, ვიდრე საჭიროა;

ე) ეს შეკითხვა მოცემულ ნახაზს უკავშირდება არა არსებითად, არამედ მხოლოდ ზერელედ.

სწორი პასუხია – (დ)

6. გაიაზრეთ ტექსტი: *როგორც ვიცით, ზოგიერთი წილადის მნიშვნელობა მთელი რიცხვის ტოლია. თანაც, ყოველი მთელი რიცხვი შეიძლება ჩავწეროთ ჩვეულებრივი წილადის სახით. ასევე შერეული წილადიც შეიძლება ჩავწეროთ ჩვეულებრივი წილადის სახით.* გაარკვიეთ, შემდეგთაგან რომელი ტოლობა გამოდგება ამ ტექსტის მე-2 წინადადების დამადასტურებელ მაგალითად:

ა) $2\frac{2}{3} = 2 + \frac{2}{3}$; ბ) $\frac{6}{2} = 3$; გ) $2\frac{1}{2} = \frac{5}{2}$; დ) 4 : 1 = 4;

ე) 4 = 4/1; ვ) 4/5 = $\frac{4}{5}$.

7. გავრცელებული შეცდომაა: „ცხოვრების მანძილზე“, „ხუთი წლის მანძილზე“, „ამ ხნის მანძილზე“ და მისთანა (მართებულია არა „მანძილზე“, არამედ – „განმავლობაში“). შემდეგთაგან რომელია ამ შეცდომის მთავარი მიზეზი?

ა) სივრცითი მიმართების გადატანა დროით მიმართებაზე;

ბ) უცხო ენების გავლენა (კალკირება);

გ) დიალექტიზმი, კუთხურობის გავლენა;

დ) მანძილის, სიგრძისა და დაშორების ერთმანეთში აღრევა.

სწორი პასუხია – (ა)

8. ყველაზე მეტად რომელი მეცნიერების პრაქტიკულ საწყისებს მოიცავს მათემატიკისა და ქართული ენის ინტერდისციპლინური სწავლება?

ა) რიტორიკის; ბ) ლოგიკის;

გ) გრამატიკის; დ) კომბინატორიკის.

სწორი პასუხია – (ბ)

9. შუადღისას ავტობუსი გაგრიდან გალისაკენ გავიდა. ერთი საათის შემდეგ გალიდან გაგრისაკენ გაემგზავრა ველოსიპედისტი, რომელიც იმავე გზით მიდიოდა, რომლითაც ავტობუსი, მაგრამ გაცილებით უფრო ნელა. გაარკვიეთ, როდესაც ავტობუსი და ველოსიპედი ერთმანეთს შეხვდებიან, მაშინ:

I. რომელს ექნება ნამგზავრი მეტი დრო?

II. რომელი მათგანი იქნება უფრო შორს გაგრიდან?

ა) ავტობუსს; ველოსიპედი.

ბ) ველოსიპედს; ამ დროს ავტობუსი უკვე გაგრაში იქნება.

გ) ავტობუსს; ტოლ მანძილზე.

დ) ავტობუსს; ავტობუსი.

ე) ველოსიპედს; ველოსიპედი.

ვ) ორივეს ერთი და იგივე დრო; ველოსიპედი.

ზ) ველოსიპედს; ავტობუსი.

თ) ორივეს ერთი და იგივე დრო; ტოლ მანძილზე.

სწორი პასუხია – (გ)

10. შემდეგთაგან ყველაზე მეტად რომელი მიზეზი იწვევს წინა ამოცანის მცდარ ამოხსნას?

ა) რთული სივრცითი მიმართებანი, რომლებიც დამატებით კიდევ დროითი მიმართებებითაა გართულებული;

ბ) ამოხსნა ზეპირად, მხოლოდ სიტყვებით – და არა სქემის დახაზვით, როგორც ამგვარ ამოცანებს სჭირდება;

გ) ამოცანის მიჩნევა მეტისმეტად ადვილად და ამიტომ მისი ამოხსნა სწრაფად და ზერელედ;

დ) პირობის გაუაზრებლობა – მოცემული ინფორმაციის არა წარმოდგენა, არამედ მხოლოდ სიტყვების წაკითხვა;

ე) სივრცით მიმართებათა შესაბამისად წარმოდგენილ სურათს თითქოს ეწინააღმდეგება დროით მიმართებათა შესაბამისად წარმოდგენილი.

სწორი პასუხია – (დ)

თვალსაზრისი

ეფექტური გაკვეთილის ცნება და ფაქტორები

თუ ამ საკითხზე მკვლევრების შეხედულებებს შევაჯამებთ და საკუთარ გამოცდილებასაც დავეყრდნობით, ეფექტური გაკვეთილის ცნებაში ხუთი უმთავრესი ნიშან-თვისება შეიძლება გამოვყოთ:

1. საგაკვეთილო პროცესში თანაბრადაა ჩართული ყველა მოსწავლე და მეტიც, უფრო მეტი დრო ეთმობა დაბალი მოსწრების რისკის მოსწავლეებს. აქ შეიძლება გაგვახსენდეს იესოს იგავი „დაკარგული ცხვარი“: *„კაცს რომ ასი ცხვარი ჰყავდეს და ერთ მათგანს გზა რომ აებნას, განა მთებში არ მიატოვებს ოთხმოცდაცხრამეტს და არ წავა გზააბნეულის მოსაძებნად? თუ მოხდება და იპოვის მას, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, უფრო მეტად გაიხარებს მასზე, ვიდრე ოთხმოცდაცხრამეტზე, რომლებსაც გზა არ აბნევიათ.“* (მათე 18,12-13). საგაკვეთილო პროცესში ყველა ბავშვი თანაბრად მნიშვნელოვანია და მეტიც, დაბალი მოსწრების რისკის მოსწავლეთა მიმართ განსაკუთრებული ყურადღება გვმართებს;

2. აქტივობების მიწოდების დროს გათვალისწინებულია მოსწავლეთა განსხვავებული აკადემიური შესაძლებლობები;

3. შერჩეულია გაკვეთილის საკითხის შესაბამისი სასწავლო მეთოდები – საკლასო ორგანიზაციის ფორმა, განმავითარებელი შეფასებები, ბეჭდური და ელექტრონული რესურსები, სწავლების სტრატეგიები, კონსტრუქტივისტული „ხარაჩოს მეთოდი“, მოსწავლეთა მოტივაციური ფაქტორები და სხვ.;

4. კლასის მართვის ეფექტური მეთოდების გამოყენების საშუალებით გაკვეთილზე უზრუნველყოფილია წესრიგი;

5. სასწავლო აქტივობები მიმართულია სამივე „მოდულის“ – ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების განვითარებისაკენ.

ამრიგად, **ეფექტურია გაკვეთილი, რომელშიც გამოიყენება სწავლებისა და კლასის მართვის ეფექტური მეთოდები და მიმართულია ყველა მოსწავლის ცოდნის ამაღლებისკენ, უნარებისა და ღირებულებების გამომუშავებისკენ, მათი ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით.**

ამჯერად აუცილებელია, ზოგადი განათლების სფეროში, დაისვას ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა: რა არის საჭირო იმისათვის, რომ მასწავლებელი გამუდმებით ცდილობდეს ასეთი გაკვეთილის ჩატარებას?

ამისათვის, ერთდროულად, საჭიროა ორი სახის ფაქტორი: ნებელობითი და გარეგანი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საჭიროა მასწავლებელს გამუდმებით ჰქონდეს ეფექტური გაკვეთილების ჩატარების **ნება** და, ამავე დროს –გარეშე ხელშემწყობი ფაქტორებიც.

ნებელობა, თავის მხრივ, ძირითადად, ორი ნაწილისგან შედგება: **ცოდნა** (საგნის ცოდნა და სწავლებისა და კლასის მართვის ცოდნა) და **მოტივი**.

ვისაც სკოლაში მუშაობის გამოცდილება აქვს, ხშირად შეხვედრია ფაქტებს, როდესაც კვალიფიციური მასწავლებელი, რომელმაც იცის საგანი და სწავლების მეთოდები, გაკვეთილისთვის მოუმზადებელია და თავისი ცოდნისა და უნარების შესაბამისად არ ატარებს გაკვეთილებს. ამის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი შეიძლება სათანადო მოტივაციის უქონლობა იყოს. ფსიქოლოგიაშიც ნობილია, რომ ქცევის განხორციელებისათვის მხოლოდ ცოდნა არ კმარა, საჭიროა ქცევის მოტივიც, რომელსაც ზოგჯერ ქცევის მოტორსაც უწოდებენ.

მასწავლებელთა მოტივაციის თვალსაზრისით, შეიძლება განვიხილოთ ორი სახის კონცეფცია: მასწავლებელთა მოტივაცია სკოლის ბაზაზე და მასწავლებელთა მოტივაციის ცენტრალიზებული მოდელი. საფიქრებელია, რომ უფრო ეფექტური შეიძლება იყოს პირველი, როგორც ეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების შემთხვევაში ხდება. ამასთან, როგორც მოტივაციის მკვლევრები აღნიშნავენ, მოტივაციის კონცეფცია მიზანშეწონილია დაკავშირებული იყოს შედეგებთან – ასეთი სახის მოტივაციის სისტემა პერსონალის შრომის ნაყოფიერებას 15-35%-ითზრდის, მაშინ როდესაც მსგავსი სისტემის არარსებობის შემთხვევაში ადამიანები მხოლოდ იმდენს მუშაობენ, რამდენიც საკმარისია სამუშაოს შესანარჩუნებლად.

შედეგთან დაკავშირებული მასწავლებელთა მოტივაციის კონცეფციის შექმნა რთული არ არის. საჭიროა, „შედეგში“ ორი ცვლადი გავაერთიანოთ – მოსწავლეთა პროცენტული რაოდენობა და მათ მიერ გარკვეული ბარიერის გადალახვა. ეს ნიშნავს, რომ თუ კლასში მოსწავლეთა გარკვეული რაოდენობა ტესტური დავალებების გარკვეულ ზღვარს გადალახავს, შეიძლება მასწავლებელმა პრემია მიიღოს. პრემიის ფორმულირებაში აუცილებელია გავითვალისწინოთ დაბალი მოსწრების რისკის მოსწავლეების შედეგები, კერძოდ, მასწავლებლის პრემია მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს, თუ ასეთი მოსწავლეების დიდი ნაწილი დადებით შედეგებს აჩვენებს. ამით შევძლებთ მასწავლებლის დაინტერესებას, რომ დაბალი მოსწრების რისკის მოსწავლეები, სხვა მოსწავლეებთან ერთად, თანაბრად ჩართოს საგაკვეთილო პროცესში.

მასწავლებლის მოტივაციის კონცეფციაში ამ შტრიხის დამატების აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ მასწავლებელთათვის ხშირად დამახასიათებელია განსხვავებული მოლოდინი მოსწავლეთა აკადემიური შესაძლებლობების მიმართ. განსაკუთრებით დაბალ მოლოდინს გამოხატავენ დაბალი სოციალური სტატუსის მოსწავლეების მიმართ. დროთა განმავლობაში კი, მოსწავლეებიც ამართლებენ ამგვარ მოლოდინს.

რა შეიძლება ითქვას ეფექტური გაკვეთილის გარე, ანუ ხელშემწყობი ფაქტორების შესახებ? ამ ფაქტორების ჯგუფში შეიძლება გავაერთიანოთ სასწავლო დღის ან გაკვეთილების ხანგრძლივობა, კლასის ზომა, მასწავლებლის ზომიერი საათობრივი დატვირთვა, ხელფასი, რომელიც აღემატება მინიმალურ სამომხმარებლო ბიუჯეტს და სხვ. სასწავლო დღის ან გაკვეთილების ხანგრძლივობის ზრდა და მოსწავლეთა მცირე (10-14) რაოდენობა კლასში, მასწავლებელს საშუალებას მისცემს, დაიცვას ეფექტური გაკვეთილის ისეთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი, როგორიცაა ყველა მოსწავლის თანაბარი ჩართულობა გაკვეთილზე და განსაკუთრებული ყურადღების დათმობა დაბალი მოსწრების რისკის მოსწავლეებისათვის.

ზომიერი საათობრივი დატვირთვა დღის განმავლობაში, მასწავლებელს საშუალებას მისცემს, დღის სხვა მონაკვეთები მომდევნო დღის გაკვეთილების დაგეგმვისათვის, რესურსების მომზადებისათვის, პროფესიული ზრდის აქტივობებისათვის (სკოლის შიგნით ტრენინგებზე დასწრება, ლიტერატურის გაცნობა) გამოიყენოს. ნიშანდობლივია ისიც, რომ დღეში 4-5 გაკვეთილის ხარისხიანად ჩატარება, როგორც საკუთრივ მასწავლებლები აღნიშნავენ, საკმაოდ ძნელია. მინიმალურ სამომხმარებლო ბიუჯეტზე მაღალი ხელფასი კი ხელს უწყობს მასწავლებელს იმაში, რომ დიდწილად გამოთავისუფლდეს ყოფით პრობლემებზე ზრუნვისგან და მეტი დრო დაუთმოს თავის ინტელექტუალურ, პროფესიულ და მორალურ სრულყოფას, რაც დადებითად აისახება მის მიერ ჩატარებული გაკვეთილების ხარისხზე.

რა ურთიერთმიმართება შეიძლება იყოს შინაგან და გარეგან ფაქტორებს შორის? გარეგანი ფაქტორები ხელს უშლის შინაგანი ფაქტორების განხორციელებას, კერძოდ, რაოდენ კვალიფიციური და მოტივირებულიც არ უნდა იყოს მასწავლებელი, თუ საგაკვეთილო დრო საკმაოდ მცირეა და კლასის ზომაც დიდი, საფიქრებელია, რომ ყველა მოსწავლესთან მიმართებაში ვერ მიაღწევს მნიშვნელოვან შედეგს. და პირიქით, თუნდაც კლასში მოსწავლეთა მცირე რაოდენობა იყოს, საგაკვეთილო დრო კი საკმარისი, თუ მასწავლებელი არ არის მოტივირებული ან კვალიფიციური, ასევე არ არის მოსალოდნელი მნიშვნელოვანი შედეგები. ბევრი ფაქტი ვიცით, როცა კლასში მოსწავლეთა რაოდენობა საკმაოდ მცირეა, მაგრამ მათი გარკვეული ნაწილის აკადემიური მოსწრება მაინც დაბალი. ამიტომ, იმისათვის, რომ სკოლებში მივაღწიოთ ეფექტური გაკვეთილების ჩატარებას, საჭიროა დაინერგოს როგორც შინაგანი, ნებელობითი, ისე გარეგანი, ხელშემწყობი ფაქტორები.

დავით ნაჭყებია
სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის
დიდი ჭყონის №1 საჯარო სკოლის
დირექტორი

ᲘᲣᲑᲘᲚᲔ

„მოკისკისე ალუბლები“

დედოფლისწყაროს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის საპატიო თავმჯდომარის, **ვანო ნატროშვილის** პატრონაჟით, თბილისში, მწერალთა სახლში, მაჩაბლის ქუჩა №13-ში, 2015 წლის 30 სექტემბერს, გაიმართა ამავე ასოციაციის წევრის, პოეტი და პუბლიცისტი ქალბატონის, **ნანი საბანაძის** პოეზიის საღამო „მოკისკისე ალუბლები“.

პროექტის ავტორი, ინიციატორი და ორგანიზატორი გახლდათ ამავე ასოციაციის თანათავმჯდომარე, **ნანა ჭიჭინაძე**, პროექტის მხარდამჭერი – მუნიციპალიტეტის გამგებელი **ნიკოლოზ ჯანიაშვილი**, სპონსორი – **პაატა გაჩეჩილაძე** (პოეტის ვაჟიშვილი).

მხოლოდ გამორჩეულ ადამიანთა წილხვედრია პოეზიასთან შერწყმა, შეგრძნება, მუსიკალურ ბგერათა შეკვრა და ლექსად ჩამოქანდაკება. ასეთ პოეტთა რიცხვს ეკუთვნის ნანი საბანაძე, მისი შემოქმედება პოეტურ ასპარეზზე მეტად შრომატევადი და ნაყოფიერი აღმოჩნდა – რამდენიმე წიგნის ავტორია, მათ შორის ორ კრებულში მხოლოდ საბავშვო ლექსებია წარმოდგენილი.

პოეზიის საღამოს უძღვებოდა ახალგაზრდა პოეტი **ქეთევან ნათელაძე**, რომელმაც ქალბატონ ნანის მინი-დოსიე გააცნო და ჩვეული მომხიბვლელობით წაიკითხა მისი ლექსები. შემდეგ ასპარეზი თავად ნანი საბანაძეს დაუთმო. პოეტმა პატრიოტული სულით გაჟღენთილი და მიძღვნითი ლექსები წაუკითხა მსმენელს.

მეტად მგრძნობიარე იყო გამოჩენილი პოეტის, წმინდა გიორგის ოქროს ორდენის და არაერთი ჯილდოსა და პრემიის მფლობელის, **მზია ხეთაგურის** გამოსვლა, მან მაღალი შეფასება მისცა ნანი საბანაძის პოეზიას და ხაზი გაუსვა, რომ იგი საუკეთესო საბავშვო პოეტიც არის...

საბავშვო ლექსები ნანი საბანაძის კრებულიდან მხატვრულად წაიკითხეს: თბილისის 53-ე საჯარო სკოლის პირველი კლასის მოსწავლემ, **დავით მაჭარაშვილმა** და პირველი კლასიკური გიმნაზიის X კლასის წარჩინებულმა მოსწავლემ, **ნატალი რევაზიშვილმა**.

პოეტს თბილი სიტყვებით მიმართეს: „მეტრის“ ნომინანტებმა – მხატვარმა **გივი თოიძემ** და კომპოზიტორმა **ვაჟა აზარაშვილმა**, დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის გამგეობის წევრმა, ჟურნალისტმა **ინგა შიოლაშვილმა**, სტუდენტმა **ნატალი გონაშვილმა**. საკუთარი ლექსები წაიკითხეს პოეტმა **მანანა დანგაძემ**, **თამარ ნასრაშვილმა**, მომღერალმა **ენრიკო ჯანელიძემ** და თავად საღამოს წამყვანმა **ქეთევან ნათელაძემ**.

მწერალთა სახლში უაღრესად ამაღლებული განწყობილება სუფევდა. მიზეზი გახლდათ მაღალორგანიზებულ დონეზე მოწყობილი პოეზიის საღამო „მოკისკისე ალუბლები“, რომელიც გაჯერებული იყო ხალასი ლექსით და ქართული ხალხური სიმღერების უბადლო შემსრულებლის, გრან-პრის მფლობელის **მარინე კოლხიდაშვილის** მიერ ჩონგურზე შესრულებული, სულში ჩამწვდომი მელოდიებით. ეს იყო ერთ-ერთი უბედნიერესი დღე პრობლემებით დამძიმებულ ადამიანთა ცხოვრებაში. თითოეულმა მათგანმა უდიდესი ესთეტიკური სიამოვნება მიიღო, კარგი ლექსი და სიმღერა ხომ სულის მალამოა...

მარიკა პოპიაშვილი

მასწავლებლის დღე

საზეიმოდ აღინიშნა მასწავლებლის დღე სსიპ ქალქ თბილისის №72 საჯარო სკოლის (დირექტორი – **მანანა კიკაჩეიშვილი**) სააქტო დარბაზში, რომელიც ყვავილებით, ნახატებითა და ხელნაკეთი ექსპონატებით იყო მორთული, საგამოფენო დარბაზს მოგაგონებდათ. პროფესიული დღე პედაგოგებს მიულოცეს სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა, მოსწავლეებმა, მშობლებმა.

ამ დღეს დაემთხვა, სკოლაში უკვე ტრადიციად ქცეული, ღვაწლმოსილი პედაგოგის გაცილების ღონისძიება, რომელიც ესთეტიკურ მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელობით ჩატარდა. ხელოვნების პედაგოგის, **გალინა ხაჭაპურიძის**, ღვაწლზე თბილად ისაუბრეს კოლეგებმა, მოსწავლეებმა და საპატიო დაფას კიდევ ერთი გვარი შეემატა.

საღამო განსაკუთრებით შთამბეჭდავი გახადა პედაგოგების მიერ გამართულმა კონცერტმა.

ნინო გიორგობიანი
ესთეტიკურ მეცნიერებათა კათედრის ხელმძვანელი

„ჩემი სალხინო ჩემი სიამაყეა“

ჩვენ დღეს ეკატერინე ჭავჭავაძისა და დადიან-მიურატების ნაკვალევზე დავაბიჯებთ და სიამაყის გრძნობა გვეუფლება, რომ ასეთი ისტორიული წარსულის მქონე სოფელში ვცხოვრობთ, ასეთი სახელოვანი ადამიანები იყვნენ ჩვენი წინაპრები.

დიდია ინტერესი სოფლის წარსულის მიმართ. ამის ნათელი დადასტურებაა სალხინოს საჯარო სკოლაში ნორჩ სწავლულთა მცირე დარბაზის მუშაობა. 2010 წლიდან დღემდე, მცირე დარბაზის ნორჩმა სწავლულებმა შეისწავლეს სოფლის ისტორია. ყოველწლიურად ტარდება შემოქმედებითი კონფერენცია „ჩემი სალხინო“. მიმდინარე წელს მოსწავლეებმა 16 მოხსენება წარმოადგინეს.

2009 წელს სკოლაში შეიქმნა სალონი „სიყვარულის სამეფო“ და წარმოდგენილ იქნა ლიტერატურულ-ისტორიული კომპოზიცია „ლაჟვარდები მოუქარგავს მთვარეს ჭავჭავაძის ასულების ეშხით“. ამით მოსწავლეებმა ერთხელ კიდევ გააცოცხლეს დადიან-მიურატების სახეები და ისაუბრეს მათ ცხოვრებაზე.

დიახ, არაერთი ლამაზი ტრადიციის აკვანია სალხინოს საჯარო სკოლა (დირექტორი – **ნუნუ სილაგავა**). ნლებს ითვლის, შინაარსითა და ხარისხით გამორჩეული, სხვადასხვა სახის ინტელექტუალური თუ ლიტერატურული ღონისძიებები. ამჯერად, დადიანების ეზოში, ბუნების ნიაღში გაიმართა ნორჩ სწავლულთა მცირე დარბაზისა და „სიყვარულის სამეფოს“ მორიგი ღონისძიება – პოეზიის დღე „ჩემი სალხინო ჩემი სიამაყეა“. მოსწავლეებმა წარმოადგინეს შალვა ფორჩხიძის, საშა და ილია კუხალაშვილების, გურამ ბასილაიას, ნანა ლაშხიას, გოგოშა გეგელიას, ნონა ცაავას, ნელი სხულუხიასა და სულიკო ბასილაიას ლექსები სალხინოზე.

პოეზიის დღეზე დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. აქ იყვნენ საზოგადოების წარმომადგენლები, საეკლესიო პირნი. ბავშვების მიერ წარმოდგენილმა ვრცელმა პროგრამამ მოწვეული სტუმრების მოწონება დაიმსახურა. სალხინოელებს ოცნებაც არ შეეძლოთ ე.წ. „დოხორეს“ – დადიანისეული სასახლის აღდგენაზე. ღვთის ნებით, გამოჩნდა ადამიანი, რომელმაც სალხინოელთა აუხდენელი ოცნება რეალობად აქცია. **ჭყონდიდელი მიტროპოლიტის, მეუფე პეტრეს** ლოცვა-კურთხევითა და მონდომებით, უმოკლეს დროში, აღდგენილ იქნა დადიანისეული სასახლე ეკატერინესეული აივნით. მეუფე პეტრეს მოსწავლეებმა სამადლობელი ლექსი უძღვნეს.

სალხინოელთა სურვილია, რაც შეიძლება მეტი ადამიანი ესტუმროს ამ ისტორიულ სოფელს და მეტმა გაიცნოს მათი მშობლიური კუთხე.

ღონისძიების დასასრულს დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა ნუნუ სილაგავამ.

სულიკო ბასილაია
სალხინოს საჯარო სკოლის პედაგოგი

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

მასწავლებლის სამუშაო რვეული

მასწავლებლის სამუშაო რვეული პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:
1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

4 ლარი

დამრიგებლის პორტფოლიო

დამრიგებლის პორტფოლიო საშუალებას აძლევს დამრიგებელს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმის მეექვსე მუხლით განსაზღვრული საქმიანობები.

გარდა შესავსები სქემებისა და ცხრილებისა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კლასის დამრიგებელს პორტფოლიოს წარმოებაში და დამრიგებლის საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

განახლებული

კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

6 ლარი

მნიშვნელოვანი შეკითხვები პასუხებით

საინფორმაციო გზამკვლევი აგებულია კითხვა-პასუხის კონცეფციაზე. მასში განხილულია მნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხები: სწავლების, შეფასების, კომუნიკაციის, მოტივაციის, სასკოლო კონფლიქტების, სწავლის თეორიების და სასწავლო გარემოს აქტუალურ საკითხებზე. წიგნი დაეხმარება მასწავლებლებს, პედაგოგიური ფაკულტეტის სტუდენტებს.

3 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო

კათედრის გამგის პორტფოლიო საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

განახლებული

2015-2016 სასწავლო წლის კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში შეუძლია **დაგეგმოს და ჩაინიშნოს** მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირეულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, **პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას**.

კალენდარს ახლავს პირველი და მეორე სემესტრისთვის განკუთვნილი შესავსები გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეესტრი და თავისუფალი ფურცლები, რაც მოსახერხებელია, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.

5,50 ლარი

შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით: 599 88 00 73, 295 80 23

მიმდინარეობს ხელმოწერა

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

მხატვრული ლიტერატურა

ათეოდორ ფონტანე - **ეფი ბრისტი**
მიგელ დელიბესი - **ორი რომანი**
აჰმედ ჰ. ტანპინარი - **დროის ინსტიტუტი**
ჟან ჟიონო - **ჰუსარი სახურავზე**
ჯოზეფ კონრადი - **ლორდი ჯიმი**
რაფაელ საბატინი - **ღამეული გართობანი**
ისტორიის მიღმა
ერნსტ ჰოფმანი - **სატანის ელექსირები**
ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**
ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები**
ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტეზუმას ასული**
ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
მარგერიტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან**
პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა**
გილბერტ კ. ჩესტერტონი - **დონ კიხოტის დაბრუნება**
სტენდალი - **წითელი და შავი**
ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ**
ალბერტო მორავია - **მოწყენილობა**
ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
ჯეიმზ ფ. კუპერი - **ჯაშუში**
მაინ რიდი - **კვარტერონი**
ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**
თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი**
ალბერ კოენი - **დედაჩემი**
გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**
ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**

თითო ტომის ფასი 14 ლარი

თამაზ ვასაძე

კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი

12 ლარი

შოთა რუსთაველი
ვეფხისტყაოსანი
ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია

სერიიდან ინტელექტი სკოლას

ფასი – 15 ლარი

** წიგნი I**
ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II
„ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III
XIX საუკუნის მწერლობა
წიგნი IV
XX საუკუნის მწერლობა

თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

საყვარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში

თითოეული კრებულის ფასი – 12 ლარი

10 ლარი



მასწავლებლის ბიბლიოთეკა

სიახლე

პუბლიკაცია მოიცავს დაწყებითი კლასების მასწავლებლებისთვის საინტერესო საკითხებს. წიგნში მიმოხილულია შემდეგი თემები: ადრეული განათლების მნიშვნელობა ბავშვის შემდგომი განვითარებისთვის, სასკოლო მზაობის ცნება და დახმარების სტრატეგიები სკოლასთან ადაპტაციისთვის, სოციალურ-ემოციური სფეროს განვითარების ხელშეწყობა და კონკრეტული რეკომენდაციები, სწავლის მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა, სასწავლო მიზნების ფორმულირება, კრიტიკული აზროვნების, მათემატიკური უნარების, მეტყველების განვითარება და კონკრეტული რეკომენდაციები ზეპირმეტყველებისა და წერითი დავალებებისათვის, კითხვის მნიშვნელობა და კითხვის უნარის სპეციფიკური დარღვევადისლექსია, ფიზიკური განვითარების ხელშეწყობა და რეკომენდაციები მოძრავი თამაშებისთვის, განმავითარებელი შეფასების საშუალებები, მშობლებთან თანამშრომლობა, საკლასო ოთახის მოწყობის სპეციფიკა, კლასის მართვის სტრატეგიები.

წინამდებარე სახელმძღვანელოში ავტორების მიერ პრაქტიკულად არის ახსნილი ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის უმნიშვნელოვანესი საკითხების სწავლების მეთოდიკა როგორც პირდაპირი (დედუქციური), ისე არაპირდაპირი (ინდუქციური) სწავლების თვალსაზრისით. სახელმძღვანელო დაეხმარება მასწავლებელს გაკვეთილის დაგეგმვისა და დაგეგმილი გაკვეთილის ეფექტურად ჩატარების პროცესში.

თითოეულის ფასი – 7,30 ლარი

საყმაწვილო ენციკლოპედია

თითო ტომის ფასი 12 ლარი

ავტომობილი
ამინდი
სამურაი
უდაბნო
გამოგონებები
განძის ძიება
გლადიატორები
დრო და კალენდარი
ძველი ეგვიპტე
ევროპა
ვიკინგები
ფიზიკა
ქიმია
მეკობრეები
ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
კოშკები და ცათამბჯენები
ხალხთა დიდი გადასახლება
უძველესი ადამიანები
ოლიმპიური თამაშები
კრიმინალისტიკა
მათემატიკა
მეცნიერებები
ძველი რომი
ძველი საბერძნეთი
მთები
ჯანსაღი კვება
არქიტექტურა



რა არის რა

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:

მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22

ყურადღება! ფიზიკურმა პირებმა, თანხის გადმორიცხვისას, მიუთითეთ პირადი ნომერი

თემატური კლასტერები

დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
2. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
3. ფერები
4. გარეული ცხოველები
5. გარეული ფრინველები
6. პროფესიები
7. შინაური ცხოველები და ფრინველები
8. ჰიგიენის ნივთები
9. სოფლის ნივთები
10. ტრანსპორტი
11. წყლის ბინადრები

2.50 ლარი

მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ძვეწარმავლები საქართველოში
6. საქართველოს მცენარეები
7. სამყაროს წარმოშობა
8. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ზღვის დინებები
11. ძიმური ელემენტების პერიოდული სისტემა
12. ძართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
13. მსოფლიოს შვიდი საოცრება

4 ლარი

მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. აკაკი წერეთელი
6. კონსტანტინე გამსახურდია
7. პაოლო იაშვილი
8. სულხან-საბა ორბელიანი
9. პოლიკარპე კაკაბაძე
10. გურამ რჩეულიშვილი
11. დავით გურამიშვილი
12. ბესიკი
13. რევაზ ინანიშვილი
14. თეიმურაზ I
15. ვახტანგ VI
16. გიორგი მერჩულე
17. გრიგოლ ორბელიანი
18. დავით აღმაშენებელი

4 ლარი

რეპროდუქციები

1. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
2. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
3. ადელ გლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
4. მენინები - დიეგო ველასკესი
5. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
6. მხატვრის ბაღი - კლოდ მონე
7. უძღები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
8. საძანელა - ოგიუსტ რენუარი
9. საკვირაო გასეირნება გრან ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა

6.5 ლარი

მითითებულია ერთი ცალის ფასი

ჩემპიონმა სტერეოტიპები დაამსხვრია

ეთერ ლიპარტელიანი ერთ-ერთი იმათგანია, ვისაც საქართველოში ქალთა ძიუდოს აღორძინების იმედი უკავშირდება. 16 წლის სპორტსმენმა იმედები გაამართლა – ივლისში, თბილისში გამართულ ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე, ბრწყინვალედ გაიმარჯვა და ქართველი გოგონების ტრიუმფის თანამონაწილე გახდა. თუმცა, მანამ იყო ევროპის ჩემპიონატი, სადაც ბრინჯაოსთვის პაექრობაში დამარცხდა და საბოლოოდ მეხუთეზე დარჩა.

არავინ იცის, რა ძალა აღმოაჩნდა სულ პატარა გოგოს, როცა გაბედა და საჭიდაო დარბაზში მივიდა ან როგორ შეეწინააღმდეგა დედის სურვილს, რომელმაც ერთხელ გამოიყვანა კიდეც ვარჯიშიდან. დღეს, მისი და მისი თანაგუნდელების მაგალითზე, ძიუდოში მომრავლდნენ გოგონები, მაგრამ პირველი გზამკვლევის ტვირთი ხომ ორმაგად მძიმეა და მის შემთხვევაში იოლი არ იქნებოდა, წინ აღდგომოდა ყველას და ყველაფერს. თან ეს ხდებოდა მკაცრი ტრადიციების დაცვით ცნობილ მთის რეგიონში, დაბა ლენტეხში, სადაც ლიპარტელიანების სხვათაგან არაფრით გამორჩეულ, ჩვეულებრივ სვანურ ოჯახში 4 შვილი იზრდებოდა. თუმცა, ეთერმა გადალახა ყველა სირთულე და მიზანს არ უღალატა... იოლი არც დღესაა მისი ცხოვრება – ყოველდღიური ვარჯიში, რუსთავიდან ყოველ საღამოს თბილისში ჩამოდის სავარჯიშოდ და შინ გვიან ბრუნდება; სულ პატარას მოუწია მშობლების, და-ძმების, ოჯახის დატოვება და ბიძის კალთას შეფარებული, წლებია მშობლების, და-ძმების გარეშე. სამაგიეროდ, „სწავლის ძირი“ მისთვის ფესვებშივე გატკბილდა, კენწერომდე გაზრდაზე ლოდინი არ დასჭირვებია – ოლიმპიურ ფესტივალზე გამარჯვება

ღირდა ამად. მაშინ მან, მზია ბებოშვილმა და ნატალია ყიფშიძემ მართლაც დიდი ზეიმი მოუწყვეს საკუთარ მაყურებელს, რომელმაც გოგონები სათანადო ოვაციით დაფასა.

– პირველი ნაბიჯები სვანეთში გადადგით. როგორი იყო მშობლების, იქაური საზოგადოების რეაქცია ამაზე?

– ლენტეხში ვცხოვრობდი, დაბაში, დარბაზი ჩემ სახლთან ახლოს იყო და მანდ დავიწყე ვარჯიში. მაშინ 6 თუ 7 წლის ვიყავი. იმ დროს მამა ესპანეთში ცხოვრობდა, დედა – თბილისში, რომელიც სასტიკი წინააღმდეგი იყო ძიუდოზე ჩემი მისვლისა და ცოტა ხანში გამომიყვანა კიდეც. თუმცა, მალე ისევ დავუბრუნდი დარბაზს. 10 წლამდე იქ ვივარჯიშე ლევან ტვილდიანთან, დარბაზში მხოლოდ ბიჭები იყვნენ. ამასობაში ბიძაჩემი დაბრუნდა ესპანეთიდან, სადაც მამაჩემთან ერთად იყო წასული. ის და მამა მხარს მიჭერდნენ და ბიძაჩემმა რუსთავში წამომიყვანა სავარჯიშოდ. მშობლები ლენტეხში ცხოვრობენ, აქ კი მე და ბიძა ვართ. რა თქმა უნდა, თავიდან ძალიან გამიჭირდა წამოსვლა. თან ჩემი პატარა და მაშინ 1 წლისა იყო და არ მინდოდა მისი დატოვება. მას შემდეგ უკვე ხუთი წელია, დედ-მამის გარეშე, ბიძასთან ვცხოვრობ. მთელი ეს პერიოდი კახა მოცრაძესთან ვვარჯიშობ თბილისში.

– ალბათ, არც გარშემომყოფებისთვის იქნებოდა იოლად მისაღები გოგო და ჭიდაობა...

– კი, ყველა წინააღმდეგი იყო და მეუბნებოდნენ, გამოდი, ჭიდაობა რა გოგოს საქმეა, ბიჭებთან როგორ ვარჯიშობო. თუმცა მე მათ არ ვუჯერებდი და ვაგრძელებდი ვარჯიშს. დღეს უკვე შეიცვალეს დამოკიდებულება გოგოს ჭიდაობისადმი.

– იქ მიმდევრებიც ხომ არ გაგიჩნდათ?

– კი, გამომიჩნდნენ. როგორც ვიცი, ლენტეხში 2 გოგო ვარჯიშობს იმ დარბაზში.

– თქვენ საიდან, რატომ გაგიჩნდათ ეს სურვილი ან სპორტის სხვა სახეობები თუ გიზიდავდათ?

– ზუსტად არც ვიცი, რატომ გამიჩნდა, მაგრამ სულ ბიჭებთან ვიყავი, ჩემს ძმასთან ერთად დავდიოდი ყველგან, ფეხბურთსაც კი ვთამაშობდი ბიჭებთან.

– დედა საბოლოოდ შეეგუა თქვენს არჩევანს და მოჭიდავეობას?

– კი, შეეგუა და უკვე მქომაგობს კიდეც. ყოველთვის კითხულობს ჩემს ამბებს, უნდა, რომ ვიჭიდაო და დაინტერესებულია ჩემი წარმატებებით, სულ უყურებს შეხვედრებს. ძალიან გაუხარდა ევროპულ ფესტივალზე ჩემი გამარჯვება, თუმცა თვითონ არ ესწრებოდა ტურნირს. მამა და ოჯახის სხვა წევრები იყვნენ ჩამოსულები, დედა კი არ ყოფილა.

– და-ძმებიდანაც ხომ არ ჭიდაობს რომელიმე?

– პატარა დას ძალიან უნდა ძიუდოზე ვარჯიში, მაგრამ ჯერ 5 წლისაა. როცა ლენტეხში ჩავდივარ დასასვენებლად, იქაც ხომ ვვარჯიშობ და სულ მეხვეწება, მეც წამიყვანეო. ერთხელ შტანგებზე სავარჯიშოდ მივდიოდი და მაშინაც შემეხვეწა, ეთო წამიყვანე, მეც ვივარჯიშებო. ძალიან უნდა ძიუდო და თუ არ გადაიფიქრებს, შემოვიყვან. მეორე და უფროსია – 17 წლისაა, მაგრამ ძიუდო არ იზიდავს, ცეკვაზე დადის.

– თბილისურ ფესტივალს როგორ გაიხსენებთ, რას გეგმავდით ამ ტურნირის წინ?

– კარგ ფორმაში ვიყავი და ვგრძნობდი, მედალს მოვიპოვებდი. ამ ტურნირამდე ევროპის ჩემპიონატზე გამოვედი, სადაც ცუდად ვიყავი და კარგად ვერ ვიჭიდავე, თუმცა მეხუთეზე გავედი, ბრინჯაოსთვის შეხვედრა წავაგე. იქიდან დაბრუნებულებს მალევე გვიწევდა ახალგაზრდული ფესტივალი, რომლისთვისაც გორში ვემზადებოდით. კარგად ვივარჯიშეთ, ვგრძნობდი, კარგ ფორმაში ვიყავი და ჩემპიონობა შემეძლო. საბედნიეროდ, მართლაც ასე მოხდა, თუმცა ძალიან ძლიერ ჯგუფში მოვხვდი. მაგალითად, ნახევარფინალში ფინელ ემილია კანერვას მოვუგე, ვისთანაც მანამ ორჯერ მქონდა წაგებული. რამდენიმე დღეში ის მსოფლიოზე მეორე ადგილზე გავიდა. მსოფლიოზე მე კარგად ვერ გამოვედი, რადგან ფესტივალის შემდეგ გავცივდი, სიცხეები მქონდა.

– შეცვალა რამე ამ გამარჯვებამ თქვენს ცხოვრებაში?

– ჩემპიონობა ძალიან კარგი შეგრძნებაა, ხალხიც მცნობს, მაგრამ ჩემი მიზანია, რომ იქვე დავტოვო ის მედალი, დავივიწყო და ახალ შედეგზე დავიწყო ფიქრი. უკვე ახალ მიღწევაზე უნდა ვიმუშაო და საამისოდ ისევ ბევრი ვივარჯიშო.

– ლენტეხში იყავით ამ გამარჯვების შემდეგ ჩასული? როგორ შეგხვდნენ?

– ვიყავი ჩასული და ყველა სიხარულით მეგებებოდა. თურმე ძალიან მქომაგობდნენ და ყველა ტიროდა. ჩემს სოფელში – კარიშში დიდი სუფრით დამხვდნენ, ნათლიაჩემმა კი ხარი უნდა დაკლას, როცა ისევ ჩავალ. ერთი სიტყვით, ყველას გაუხარდა.

– საჭიდაო გვარი გაქვთ: აქეთ ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს ფინალისტი ვალერი ლიპარტელიანი, იქით – დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ოლიმპიური მედალოსანი ვალერი ლიპარტელიანი... ალბათ, გენათესავებიან, რჩევა-დარიგებებით თუ გეხმარებიან?

– ვალერი შორეული ნათესავია, სოსო კი ბიძად მეკუთვნის. შეძლებისდაგვარად, ორივე მაძლევს რჩევა-დარიგებებს, როცა მხვდებიან. სოსო უფრო იშვიათად მეხმიანება, ვალერის კი შედარებით ხშირად ვხვდები.

– ძიუდოს რა ადგილი უჭირავს თქვენს ცხოვრებაში და სხვა გატაცებები თუ გაქვთ?

– ძალიან დიდი ადგილი უჭირავს – პირველ ადგილზე ძიუდოს ვაყენებ და შემდეგ – გართობას. თუმცა, გართობისთვის დრო არც მრჩება – ყოველ საღამოს დარბაზში ვარ ვარჯიშზე და სახლში გვიან ვბრუნდები. თავისუფალი დრო მხოლოდ შაბათ-კვირას მაქვს, მაგრამ მაშინაც მირჩევნია, დავისვენო ან რამე ფილმს ვუყურო სახლში.

– მუსიკა, ცეკვა, მოდა ან რამე ამგვარი გატაცებები, რაც თქვენს თანატოლ გოგონებს იტაცებთ, თქვენ არ გაინტერესებთ?

– არა, მთლიანად ძიუდოზე ვარ გადმორთული, მთელ დროს ამას ვუთმობ. მაღალქუსლიანებს საერთოდ არ ვიცვამ, ვერ ვეგუები. არც მაკიაჟი მიყვარს, უფრო სპორტული სამოსი და თავისუფალი სტილი მირჩევნია.

ესაუბრა
ირაკლი თავაძე

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

CMYK